



დაზარალებულის დაცვა გამოძიების ან სიხლისსამართლებრივი
დევნის შეწყვეტის და დევნის დაწყებაზე უარისგან
თორნიკე ვახტანგიშვილი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0186, საქართველო
სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 თორნიკე ვახტანგიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თორნიკე ვახტანგიშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „დაზარალებულის დაცვა გამოძიების ან სიხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის და დევნის დაწყებაზე უარისგან“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი: 02.09.2020 წელი

სუხლხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: თორნიკე ვახტანგიშვილი

თარიღი: 02.09.2020 წელი

რეზიუმე

ნაშრომი ეხება დაზარალებულის უფლებას. კერძოდ ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გამოძიების ან/და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და გადაწყვეტილების სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დაზარალებულის გასაჩივრების უფლებას. გაანალიზებულია ამ კუთხით ქართული კანონმდებლობა და აგრეთვე მოიცავს შედარებით სამართლებრივ მიმოხილვას.

გაანალიზდა პროკურორის დისკრეციის ფარგლები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით და დადგინდა, რომ მას აქვს დისკრეციის ფართო გამოყენების უფლება, რაც ქმნის სუბიექტივიზმის საფრთხეს. რადგან პროკურორზეა დამოკიდებული დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია და სისხლის სამართლის საქმის ბედი. ფართო დისკრეციული უფლებამოსილება ზოგადად არ ქმნის საფრთხეს დაზარალებულისთვის თუ მას გაჩნია საკუთარი ინტერესის, რომ მის მართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იქნეს გამოძიებული, რეალური დამნაშავე იდენტიფიცირებული, დანაშაული სწორად დაკვალიფიცირებული და, საბოლოოდ, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება მიღებული, დაცვის სამართლებრივი ბერკეტები. ყველა დაზარალებული ვერ სარგებლობს აღნიშნული სამართლებრივი ბერკეტებით ქართული კანონმდებლობით.

გაანალიზდა და დადგინდა რომ ქართული კანონმდებლობა არათანაბრად ექცევა დაზარალებულებს იმ შემთხვევებშიც კი როცა სახეზეა ერთი ღირებულების ზიანი, სხვადასხვა პირისთვის, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან.

შეფასებული იქნა სტატისტიკური მონაცემები იმის დასადგენად ხომ არ შეექმნება სასამართლოს ეფექტურ მუშაობას საფრთხე ყველა დანაშაულზე დაზარალებულის გასაჩივრების უფლების დაშვებით და დაგინდა რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს შესაბამისად კიდევ ერთი კონსტიტუციით აღიარებული, სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ერთმევა ადამიანს.

ასევე განხილულია ნაშრომის საკვლევი თემის კუთხით დაზარალებულის უფლებები 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომელიც ბევრად უფრო მაღალი ხარისხის უფლებებს ანიჭებდა დაზარალებულ ვიდრე მოქმედი კოდექსი.

Resume

This paper work refers to the rights of the complainant. In particular, the right of the complainant to appeal against the decision of the superior prosecutor to terminate the investigation and/or criminal prosecution and to refuse to initiate criminal prosecution. In this regard the Georgian legislation is analyzed and also includes a comparative legal review.

The scope of the prosecutor's discretion under the Code of Criminal Procedure has been analyzed and it has been found that he has the right to use the discretion extensively, posing a threat to subjectivism. Because the qualification of the criminal act and the fate of the criminal case depend on the prosecutor.

Extensive discretion generally does not pose a threat to the complainant if he or she has an interest in the alleged crime being investigated, the real culprit identified, the crime properly qualified, and, finally, a fair decision made on the case, the legal leverage of protection. Not all complainants have access to these legal levers under the Georgian law.

It has been analyzed and found that the Georgian law treats complainants unequally, even when there is a loss of one value for different persons, which contradicts the right to equality before the law recognized by the Constitution of Georgia.

Statistics were assessed to determine whether the effective functioning of the judiciary would be jeopardized by allowing the complainant the right to appeal against all crimes, and it has been found that such a threat does not exist in accordance with another constitution recognized, depriving a person of the right to appeal to a court.

სარჩევი

რეზიუმე	iv
Resume.....	v
გამოყენებული აბრევიატურა	1
შესავალი.....	2
II. დაზარალებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ...	5
1. დაზარალებულის ცნება.....	5
2. დაზარალებულად ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	6
III. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები სსსკ-ის მიხედვით.....	9
1. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.....	10
2. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები.....	13
3. პროკურორის დისკრეცია და სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები	15
4. სუბიექტური გადაწყვეტილების შესაძლებლობა დისკრეციის გამოყენების დროს	22
5. შუალედური დასკვნა	24
IV. გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არ დაწყების გასაჩივრების ფარგლები დაზარალებულისთვის.....	25
1. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	25
2. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	27
2.1. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების ეფექტურობა	29
2.2. კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებთან შესაბამისობა	33
2.2.1. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება	33
2.2.2. თანასწორობის უფლება.....	39
3. საერთაშორისო მიდგომა დაზარალებულის უფლებებთან გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და დევნის დაწყებაზე უარის დროს.....	42
4. რეკომენდაცია.....	46
დასკვნა	51
გამოყენებული ლიტერატურა	54

გამოყენებული აბრევიატურა

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სამკ - საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

იუსტიციის მინისტრის ბრძანება - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბერის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“

იხ. - იხილეთ

პარ. - პარაგრაფი

მაგ. - მაგალითად

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.ი. - ესე იგი

შესავალი

2010 წელს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შედეგად, ძირეული ცვლილებები განიცადა სამართლებრივმა მიდგომებმა, კერძოდ ინკვიზიციური პროცესიდან მოხდა შეჯიბრებით მოდელზე გადასვლა. შეჯიბრებითი მოდელის არსია მხარეთა თანასწორება. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრალდებულის უფლებები, ხოლო დაზარალებული აღარ გვევლინება პროცესის მხარედ და ბრალდების უფლებამოსისილება მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავეს დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს ქონდეს, ადამიანები არ უნდა რჩებოდნენ პირისპირ კონფლიქტებში და თავისი წესებით არ უნდა წყვეტდნენ მას. მიუხედავად თვითიუსტიციის დაუშვებლობისა და ბრალდების მონოპოლიისა, სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს დაზარალებულის უფლებებს, გაითვალისწინოს მათი ინტერესები, რადგან არ დაუშვას ხელახალი ვიქტიმიზაცია.¹ დემოკრატიული სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ გაუმართლებელია დაზარალებულის დატოვება უუფლებოდ, სისხლის სამართლის პროცესში.²

საკონსტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაზარალებულის ინტერესზე ამბობს: „დაზარალებულის ინტერესია, მის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იქნეს გამოძიებული, რეალური დამნაშავე იდენტიფიცირებული, დანაშაული სწორად დაკვალიფიცირებული და საბოლოოდ, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ეს ერთი მხრივ ხელს უწყობს, კონკრეტული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ეფექტურ, ადეკვატურ ანაზღაურებას, ხოლო მეორე მხრივ სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებას იმ გაგებით, რომ მის მიმართ ჩადენილი დანაშაული არ დარჩება რეაგირების გარეშე, რომ სახელმწიფო არ არის გულგრილი და ინდიფერენტული მისი პრობლემის მიმართ და რომ სწორედ სახელმწიფო

¹ თუმანიშვილი გ. დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, თბილისი, 2009, 64.

² ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 61.

წარმოადგენს გარანტიას, მისი ინტერესების დაცვისთვის და უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. ადამიანს არ უნდა დარჩეს დაუცველობის განცდა ან შეგრძნება, რომ სახელმწიფო არ არის მონდომებული, მოტივირებული და ეფექტური ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას“.³ საინტერესოა, რამდენად იძლევა სსსკ 106-ე მუხლის პირველი პრიმა და 168-ე მუხლის მეორე ნაწილი დაზარალებულის დასახელებული მიზნის, ინტერესის მიღწევის შესაძლებლობას? საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაზარალებულის უფლებები 2014 წლის ცვლილებების შემდეგ. ასევე, ამაში დიდი წვლილი შეაქვს საკონსტრუქციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებით⁴, მაგრამ კიდევ უამრვი პრობლემაა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. წარმოდგენილი ნაშრომი კი ეხება ერთ-ერთ ასეთ პრობლემას. კერძოდ, დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს. მართალია აღნიშნულ თემაზე ბევრი ნაშრომია, მაგრამ კოდექსის მოქმედი ნორები ამ თემასთან დაკავშირებით ვერ პასუხობს მოთხოვნებს და საკითხი კვალავ პრობლემურად რჩება. ამას, თუნდაც ისიც მოწმობს, რომ საკონსტრუქციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სარჩელი N1/2/1389 (მაღხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), რომელშიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებთან ერთად, მოსარჩელები ითხოვენ სწორედ საკვლევი თემის შესაბამისი ნორმების 106-ე მუხლის პირველი პრიმა და 168-ე მუხლის მეორე ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას. აგრეთვე, კიდევ ერთი სარჩელი N1/2/1355 (სამსონ თამარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), რომელიც არსებითად განსახილველად მიიღო საკონსტრუქციო

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

⁴ იხ. მაგალითად; საქართველოს საკონსტრუქციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გაა ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „მპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სასამართლომ, დაყენებულია სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საკითხი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, ბაჩანა შენგელიას, ზუგდიდის მე-6 სკოლის გარდაცვლილი დირექტორის ია კერძაიას შვილის კომენტარი: “ეს გამოძიება თავიდანვე იყო პოლიტიკური და ამ გამოძიებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქმე რეალურად, არასწორი მიმართულებით ყოფილიყო გამოძიებული. მე, როდესაც აპრილის თვეში ადვოკატთან ერთად გავეცანი საქმის მასალებს, იმ დღესვე ვთქვი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო უკვე არსებული რეალობის გათვალისწინებით ამ გამოძიების ლოგიკურ შედეგებამდე მიყვანა”⁵. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სსსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ფაქტია, რომ ამ ადამიანს აქვს უნდობლობა გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით და თავად გამოძიების ფორმებთანაც, მაგრამ კანონმდებლობიდან გამომდინარე მას არ შეუძლია გასაჩივროს სასამართლოში პროკურორის გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ნაშრომის საკვლევი თემა პრობლემურ და აქტუალურ საკითხზეა.

ნაშრომში განხილული და შეფასებული იქნება, რამდენად პასუხობს საკვლევი ნორმების მსგავსი რედეაქციით არსებობა დაზარალებულის უფლებების დაცვის მოთხოვნებს. ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის დესკრიფციული და ანალიტიკური, შედარებით სამართლებრივი, ინდუქციური, დედუქციური და სტატისტიკური მეთოდები.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან, სადაც შესაბამისად პირველი არის შესავალი, ხოლო ბოლო დასკვნა. ნაშრომის მეორე თავი ეხება დაზარალებულის ცნებას და დაზარალებულად ცნობას სსსკ-ის მიხედვით. მესამე თავში განხილულია გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არდაწყების საფუძვლები სსსკ-ის მიხედვით და პროკურორის დისკრეციის ფარგლები. მეოთხე თავში განხილულია პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები, მისი კონსტიტუციურობა და შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა.

⁵<https://netgazeti.ge/news/388271/> [14.08.2020.]

II. დაზარალებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

აღნიშნულ თავში მოკლედ იქნება განხილული თუ რას ნიშნავს დაზარალებულის ცნება და როგორ ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისი განმარტება, აგრეთვე რა წინაპირობები უნდა იყოს სახეზე დაზარალებულად ცნობისთვის და როგორ ხდება დაზარალებულად ცნობა.

1. დაზარალებულის ცნება

არ არსებობს დაზარალებულის ცნების ერთი კონკრეტული განმარტება, რომელიც საერთო იქნება ყველა დარგისთვის და მეცნიერებისთვის. ასე მაგალითად განსხვავდება დაზარალებული სამოქალაქო სამართალში და დაზარალებული სისხლის სამართალში. განსხვავებულია მეცნიერების მიერ დაზარალებულის განმარტებაც. მაგალითად ციპის მიხედვით დაზარალებულია პირი, რომელმაც დანაშაულის შედეგად ზიანი განიცადა მიუხედავად იმისა ეკუთვნოდა თუ არა მას სამართლებრივი სიკეთე ან შეუძლია თუ არა მიმართოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართალდამცავ ორგანოებს⁶. პაში ამბობს, რომ დაზარალებული შეიძლება იყოს ადამიანი, სახელმწიფო, ორგანიზაცია ან საზოგადოება, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღდა ზიანი. პირი დანაშაულის მსხვერპლია, როდესაც მის ნებაზე ბატონობს სხვა პირი არამართლზომიერად (დანაშაულის გზით).⁷

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის 22-ე ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ხოლო 56-ე მუხლის მეოთხე ნაწილი აზუსტებს, რომ დაზარალებულის სტატუსზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი დანაშაული მომზადების თუ მცდელობის ეტაპზე გამოაშკარავდა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რომ დანაშაულის დამთავრების შედეგად შეიძლება მისდგომოდა ზიანი. იურიდიული პირის შემთხვევაში დაზარალებული პირის სტატუსი ენიჭება მის წარმომადგენელს, ხოლო ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის რომელიმე ახლო ნათესავას, დაზარალებულის უფლება

⁶იხ. შალიკაშვილი მ. ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი 2011წ. 14

⁷იქვე: 14

მონაცვლეს, შესაბამისად სსსკ-ის 56 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებისა. რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში დაზარალებულის სტატუსი არ ენიჭება არავის და სახელმწიფო ინტერესებს იცავს პროკურატურა, ბრალდების მხარდაჭერით.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ქართული კანონმდებლობა დაზარალებულის დეფინიციით შეესაბამება ევროპის კავშირის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივას „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების და 2001/220/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ“. აღნიშნული დირექტივით დანაშაულის მსხვერპლია „ფიზიკური პირი, რომელმაც უშვალოდ დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკივილი ან ეკონომიკური დანაკარგი“⁸. ხოლო იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის მსვერპლი გარდაიცვალა - „ოჯახის წევრი იმ პირისა, რომელიც უშვალოდ დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა და რომლის გარდაცვალებითაც პირს მიადგა ზიანი“⁹.

2. დაზარალებულად ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა. მატერიალურ წინაპირობებს წარმოადგენს ის, რომ პირს კონკრეტულად დანაშაულის შედეგად უნდა მიადგეს ზიანი (არ აქვს მნიშვნელობა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი იქნება სახეზე). ფორმალური წინაპირობა გულისხმობს პროკურორის დადგენილების გამოტანას დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად, ან მისი რომელიმე ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე. როცა პროკურორისთვის ცნობილი ხდება დანაშაულებრივი ქმედებით პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი

⁸ DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA მუხლი 2, პუნქტი „a“ ქვეპუნქტი „i“.

⁹ იქვე: მუხლი 2, პუნქტი „a“ ქვეპუნქტი „ii“.

დადგენილებით უნდა ცნოს დაზარალებულად. პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის ნება-სურვილზე და არც მის ასაკსა და ფიზიკურ ან ფსიკიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი ვალდებულია მას შემდეგ, რაც დაადგენს დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, მიანიჭოს მას დადგენილებით დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. ხოლო დაზარალებული ისარგებლებს თუ არა მისი უფლებებით მისი გადასაწყვეტია.¹⁰

როგორც ზემოთ აღნიშნა დაზარალებულის სტატუსისთვის მატერიალურ წინაპირობასთან ერთად საჭიროა ფორმალური წინაპირობა. ფორმალური წინაპირობის დაკმაყოფილების ორი გზა არსებობს: ერთი, როდესაც პროკურორი თავისი ინიციატივით, მატერიალურ საფუძველზე დაყრდნობით გამოიტანს დადგენილებას, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და მეორე, როცა დაზარალებული თავად მიმართავს განცხადებით პროკურორს დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით. განცხადების შესვლიდან 48 საათში პროკურორი ვალდებულია დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს დაზარალებულის განცხადება შესაბამისი საქმიდან გამომდინარე. დაზარალებულს კი შეუძლია პროკურორის უარი დაზარალებულად ცნობაზე გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მისი უარის შემთხვევაში სასამართლოში, მიუხედავად დანაშაულის კატეგორიისა, რაზეც სასამართლოს 15 დღის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა.¹¹

დაზარალებულად ცნობა არ ნიშნავს რომ აღნიშნული აპრიორი ფაქტია, რადგან საქმის მიმდინარეობისას შეიძლება დადგინდეს საპირისპირო ფაქტები, რაზე დაყრდნობითაც პროკური იღებს გადაწყვეტილებას დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებისას დაზარალებული სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც დაზარალებულად ცნობაზე უარის დროს.¹²

დაზარალებულის სტატუსის მოპოვებაზე გასაჩივრების უფლება, ყველა კატეგორიის დანაშაულზე განპირობებულია საკონსტუციო სასამართლოს

¹⁰ იხ:ფაფიაშვილი ლ. წიგნში, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი 2015, 219.

¹¹იხ. სსსკ 56-ე მუხლის მეხუთე და მეშვიდე ნაწილები.

¹²იხ. სსსკ 56-ე მუხლის მეექვსე და მეშვიდე ნაწილები.

გადაწყვეტილებით, სადაც სასამართლომ არკონსტიტუციურად ცნო დაზარალებულის შეზღუდვა სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ.¹³ აღნიშნული რა თქმა უნდა მისასაღმებელი ფაქტია, რადგან დაზარალებული შეძლებს ისარგებლოს სტატუსიდან გამომდინარე უფლებებით მაგრამ ზოგ შემთხვევაში მხოლოდ დაზარალებულის სტატუსი საკმარისი არ არის მისი უფლებების სრულყოფილად დაცვისთვის.

¹³ იხ: საქართველოს საკონსტუციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბერის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

III. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები სსსკ-ის მიხედვით

სანამ უშვალოდ კონკრეტული საფუძვლების განხილვა მოხდება, მანამდე მოკლედ განვმარტავ თუ რა არის სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მეცნიერებში სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების შესახებ და დაწყება დასრულების შესახებ. მაგალითად ზოგს მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა გრძელდება სასამართლო პროცესამდე; ზოგს მიჩნია, რომ ის მოიცავს სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარდაჭერასაც, ზოგი მიჩნევს, რომ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდამდე გრძელდება.¹⁴ ყველაზე ლოგიკურად სისხლისსამართლებრივი დევნა არის პროკურორის და გამომძიებლის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები, რომლების მიზანია დამნაშავეს გამოვლენა და მისთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება.¹⁵ რა ეტეპზე იწყება ან მთავრდება არ არის ნაშრომის საკვლევი თემა.

გამოძიების განმარტებას კი თავად სსსკ იძლევა. კერძოდ მე-3 მუხლის მე-10-ე ნაწილის თანახმად გამოძიება არის „უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება“. გამოძიების ჩატარებაზე უფლებამოსილება აქვს როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით განისაზღვრება გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები. აღნიშნული საფუძვლებიდან, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაულის არსებობას ან სასჯელის გამოყენებას არის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, ხოლო

¹⁴ იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი 2015, 55-62.

¹⁵ იხ: აბაშიძე, გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი 2012, 57.

რომელიც გამორიცხავს გამოძიების გაგრძელების შესაძლებლობას არის საპროცესო-სამართლებრივი¹⁶.

1.გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება: აღნიშნულში იგულისხმება ისეთი ქმედება, როდესაც სახეზე არ გვაქვს დანაშაული. მაგალითად გამოძიება შეიძლება დაიწყოს ასეთ ფაქტზე: უცხო პიროვნებას სახლიდან, რომლის მეპატრონე საზღვარგარეთ არის წასული გამოაქვს ნივთები. აღნიშნული მეზობლებმა შეატყობინა სამართალდამცველ ორგანოს, მაგრამ ადგილზე მისვლისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პიროვნება მოქმედებს სახლის მეპატრონის ნებართვით. ასეთ დროს უნდა შეწყდეს გამოძიება სახეზე არ გვაქვს სსკ-ით გათვალისწინებული ქმედება.

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო:

როდესაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება განხორციელებულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი, (სსკ-ის მერვე თავით გათვალისწინებული გარემოება), რომელიმე გარემოების არსებობისას გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევანა არ უნდა დაიწყოს.

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას:

აღნიშნულ დანაწესი გულისხმობს კანონის უკუძალის გამოყენებას მაშინ, როცა ის აუმჯობესებს პირის მდგომარეობას. ქმედების დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს.

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი: ამ კანონის ან სსკ-ის მუხლის ნაწილის ან ქვეპუნქტის, რომლის საფუძველზეც პირს წაყენებული აქვს ბრალი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობა საფუძველია, სისხლის სამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის.

¹⁶იხ: თოლორაია ლ. წიგნში, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი 2015, 336-337.

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა: „ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა/არდაწყება განპირობებულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, მიზანშეუწონელია პირის დასჯა სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე“.¹⁷ სსკ-ის 71-ე მუხლით განსაზღვრულია ხანდაზმულობის ვადები დანაშაულის კატეგორიის და ხასიათის მიხედვით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, უნდა შეწყდეს გამოძიება და არ უნდა დაიწყოს გამოძიება.

ვ) თუ გამოცემულია ამინსტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან: ამინსტიის აქტს გამოსცემს პარლამეტი რაიმე ზოგადი ნიშნით და არა კონკრეტული სახელების და გვარების დასახელებით. მაგალითად ამინსტიის აქტით შეიძლება მოცემული იყოს, რომ პასუხისმგებლობისგან თავისუფლება პირი, ვისაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომლის სასჯელის მაქსიმალური ვადა არ აღემატება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. თუ ამინსტიის აქტი ნაწილობრივ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ქმედების ჩამდენს ეს არ არის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი. ამინსტიის აქტი არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიება არ უნდა დაიწყოს, რადგან მოქალაქის აღწერილი ქმედება ემთხვევა ამინსტიის აქტის ნორმას. სავსებით შესაძლებელია ეს მოქალაქე ცდებოდეს, ან გამორჩეს რაიმე გარემოება, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კვალიფიკაციაზე. შესაბამისად უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის დეტალურად შეფასება, გამოძიება და თუ დადგინდება, რომ სახეზე გვაქვს ამინსტიის აქტით გათვალისწინებული ქმედება, მხოლოდ შემდეგ უნდა შეწყდეს გამოძიება.

ზ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო: აღნიშნული საფუძველი ეხება სსკ-ის 21-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის დამათავრებაზე,

¹⁷თოლორაია ლ. წიგნში, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, , თბილისი 2015, 340.

რომლის განხორციელების შესაძლებლობაც ქონდა, აიღებს ხელს. მაგალითად პირმა ესროლა მეორე პირს, ააცილა. შეუძლია კიდევ ესროლოს და მოკლას, მაგრამ ამას არ აკეთებს. თუ დადგინდება, რომ სახეზეა დანაშაულზე ნებაყოლობით ხელის აღება, უნდა შეწყდეს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

თ) ქმედითი მონანიების გამო: აღნიშნული ეხება სსკ-ის 68-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც: ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე ნათელია, რომ სახეზე უნდა იყოს მუხლში ჩამოთვლილი ყველა გარემოება, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეიძლება, მაინც არ შეწყდეს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. სსკ-ის 68-ე მუხლის მეორე ნაწილი კი ამბობს რომ ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. ასეთი მუხლები კი არის: 322-ე გათვალისწინებული მუხლები, აგრეთვე 309-ე და 311-ე მუხლებით; 314-ე და 315-ე მუხლების პირველი ნაწილებით და 319-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული და იმავე კოდექსის 164¹, 203-ე, 221-ე, 223-ე, 223¹, 223³, 223⁴, 236-ე, 260-ე, 339-ე, 339¹, 348¹, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე.

ი) თუ ვითარება შეიცვალა:

აღნიშნულში მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როცა აღარ არის საჭირო და გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. „ვითარების შეცვლა ნიშნავს გარეგანი პირობების ისეთ შეცვლას, რის გამოც ისპობა ქმედების სოციალური საშიშროება“.¹⁸

კ) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა:

¹⁸ლომსაძე მ., გამოძიების საფუძვლები. ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N 3, 2017, 62.

აღნიშული არის სისხლისსამართლებრივი დევნის გამომრიცხველი გარემოება თუ დადგინდა, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება განახორციელა 14 წელს მიუღწეველმა პირმა. მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, ხოლო თუ არ არის დაწყებული შესაბამისად არც უნდა დაიწყოს.

ლ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით:

აღნიშული არის სისხლისსამართლებრივი დევნის გამომრიცხველი გარემოება. თუ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდება, რომ პირი დანაშაულის ჩადენის დროს და არა შემდეგ იყო შეურაცხი მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, რაზეც პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში თუ ბრალდება უკვე გამოტანელია ამ პირის მიმართ, მაშინ პროცესის მხარე სასამართლოს მიმართავს დევნის შეწყვეტის შუამდგომლობით. შესაბამისად, სასამართლო წყვეტს სისხლის სამართლებრივ დევნას.

2. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები

ა) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე:

„ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნას დასჯილი“.¹⁹

ბ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ:

ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც უკვე სახეზე გვაქვს პროკურორის დადგენილება რა დროსაც მნიშვნელობა არ აქვს თუ რა საფუძვლით გამოიტანა ეს დადგენილება. უნდა შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა იმის მიხედვით თუ რა შინაარსისა დადგენილება.

¹⁹ლომსაძე მ., გამოძიების საფუძვლები. ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N 3, 2017, 60.

გ) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით:

პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმა შეუძლია, როგორც გამოძიების ის სასამართლოს სტადიაზე. გამოძიების ეტაპზე ეს შეიძლება იყოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე დაყრდნობით ან განრიდების (არასრულწლოვნების შემთხვევაში აგრეთვე განრიდება მედიაციის) პროგრამის გამოყენებით განპირობებული ან ბრალდებულად ყოფნის ვადის გასვლის გამო. სასამართლო განხილვის ეტაპზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმის დროს, უკვე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება ბრალდების ან ბრალდების ნაწილიში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.²⁰

დ) ბრალდებული გარდაიცვალა:

თუ ბრალდებული გარდაიცვალა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. ხოლო თუ გამოძიებით დადგინდა, რომ კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა პირმა, რომელიც გარდაცვლილა ასევე წყდება გამოძიება და შესაბამისად არ იწყება დევნა. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე ბრალდებულია სახეზე შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება გარდაცვლილის მიმართ, ხოლო დანარჩენების მიმართ პროცესი გრძელდება.

ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო:

ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც სსკ-ით გათვალისწინებული დასახელებული დანაშაული, პირმა განახორციელა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ან ისეთი შემთხვევა, როცა პირმა აღნიშნული იმიტომ განახორციელა, რომ თავი დაეღწია ადამიანით ვაჭრობისგან ან არასრულწლოვანთა ვაჭრობისგან.

²⁰ იხ. სსკ-ის 166-ე, 168-ე, 168¹, 169-ე, 250-ემუხლები და სამკ-ის 38-ე მუხლი.

3. პროკურორის დისკრეცია და სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, ქართულ სისხლის სამართლის პროცესში შემოვიდა დისკრეციის პრინციპი. დისკრეციის განმარტება არ გვაქვს სსსკ-ში, მაგრამ მას ვხვდებით საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის თანახმადაც დისკრეციული უფლებამოსილება არის: უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.²¹ როგორც ამ განმარტებიდან ჩანს დისკრეცია არ გულისმობს, გადაწყვეტილების მიმღებმა თავად დაადგინოს, მოიფიქროს ახალი რამ, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. მაგალითად პროკურორი სრულწლოვან ბრალდებულთან ვერ გააფორმებს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებას, რადგან პროკურორს ალტერნარიული ღონისძიების სახით არ შეუძლია სრულწლოვან ბრალდებულთან გამიყენოს განრიდების და მედიაციის ღონისძიება, განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევისგან. ესეიგი პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას იღებს იმ გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე შესაფერისი და მართებულია კონკრეტული შემთხვევისთვის. დისკრეცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საკუთარი შეხედულებისამებრ თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.²²

სსსკ-ში დისკრეციულ უფლებამოსილებაზე საუბარია მე-16-ე მუხლში რომლის თანახმადაც: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით. აქედან ნათელია, რომ პროკურორის გადასაწყვეტია შეწყვეტს თუ არა სისხლის სამართლებრივ დევნას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა

²¹იხ: სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“- ქვეპუნქტი.

²²<<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16198>> [20.08.2020]

გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულებას. ეს პროკურორის დისკრეცია განსხვავებით გამოძიების დაწყებისგან. სსსკ-ის მეასე მუხლში საუბარია გამოძიების დაწყების ვალდებულებაზე ინფორმაციის მიღებისას, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ყველა შესულ ინფორმაციაზე გამოძიება დაიწყოს პროკურორმა ან გამომძიებელმა. საუბარია ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება დანაშაულს, ან ზუსტად არის გადმოცემული მაგალითად შემოვიდა ზარი რომ ქუჩაში „ა“-მ „ბ“-ს ესროლა ან შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს მაგალითად შემოვიდა ზარი, რომ მეზობლის სახლიდან ისმის ყვირილის და ჩხუბის ხმა. ასეთ დროს გამოძიება უნდა დაიწოს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია ბუნდოვანია არ იკვეთება კონკრეტული ფაქტები გამოძიება ვერ დაიწყება. უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის გადამოწმება, დაზუსტება და დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში დაიწყოს გამოძიება, ხოლო ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს არ შეიძლება იყოს გამოძიების დაწყების საფუძველი.

დისკრეცის გამოყენებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მაგალითად ზოგი თვლის, რომ დისკრეცია მაშინ ჩნდება კანონმდებლობაში, როცა ის სრულყოფილად ვერ განსაზღვრავს კონკრეტულ მოქმედებებს ყველა შემთხვევისთვის, შესაბამისად გადაწყვეტილების მიმღებს რჩება შესაძლებლობა თავდ მიიღოს, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტილება.²³ დისკრეციის გამოყენების ფარგლები განსხვავდება იმით თუ რომელი პრინციპის, კანონიერების და მიზანშეწონილების მიმდევარია ქვეყნის კანონმდებლობა.²⁴

კანონიერების პრინციპი გულისხმობს რომ პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული ფორმალური საფუძვლები რომელიც არ იძლევა ამის

²³ იხ: Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J., Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 24

²⁴ იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომძიების სტადიაზე), თბილისი 2015, 169.

შესაძლებლობას.²⁵ ანუ ამ შემთხვევაში შეზღუდულია პროკურორის დისკრეციის ფარგლები კანონის ჩარჩოებით. ხოლო მიზანშეწონილების პრინციპის დროს პროკურორს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა მიუხედავად დანაშაულებრივი ფაქტისა ის ამდროს სხვადასხვა გარემოებას შეიძლება დაეყრდნოს მაგალითად საჯარო ინტერეს.²⁶

დისკრეციის გამოყენება დამახასიათებელია, როგორც საერთო სამართლის ქვეყნებისთვის ისე კონტინენტური სამართლის ქვეყნებისთვის. კანონიერების პრინციპის მოდელს ძირითადად იყენებენ კონტინენტური სამართლის ქვეყნები ხოლო მიზანშეწონილობის პრინციპს საერთო სამართლის ქვეყნები.²⁷ მიუხედავად განსხვავებისა ამ ორ პრინციპს შორის, თანამედროვე ტენდენციებით უფრო ხშირად ხდება, რომ ქვეყნები ცდილობენ შეუთავსონ ეს პრინციპები ერთმანეთს, ეს განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. ქვეყნების ნაწილი ცდილობს ეკონომიური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვას, პროცესის ჰუმანიზებას. ზოგჯერ უფრო მეტი ყურადღება ექცევა დაზარალებულის უფლებებს.²⁸

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ფართო დისკრეციას ანიჭებს პროკურორს, შესაბამისად ჩვენი კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს მიზანშეწონილების პრინციპს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მესამე ნაწილის დროს პროკურორი დისკრეციის გამოყენებით აფასებს კონკრეტულ შემთხვევაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ხომ არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, რა დროსაც ხელმძღვანელობს სსსკ-ით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბერის №181 ბრძანებით - „სისხლის სამართლის პოლიტიკის

²⁵ მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომცემის სტადიაზე), თბილისი 2015, 170.

²⁶ იქვე 170-171.

²⁷ იხ: მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 20-21.

²⁸ იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომცემის სტადიაზე), თბილისი 2015,

სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების მეორე ნაწილში საუბარია იმაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობა პროკურორს დისკრეციული უფლების გამყენებით დიდ უფლებებს ანიჭებს რა დროსაც შეიძლება მიღებულ იქნეს არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც ზიანის მომტანია კონკრეტულ შემთხვევაში მონაწილე პირების, ასევე საზოგადოებისთვის. აღნიშნული ბრძანების მიზანია სწორედ დისკრეციის ზოგად პრინციპებსა და ჩარჩოებში მოქცევა, რაც უფრო სამართლიანს, მისაღებს და გამჭვირვალეს გახდის გადაწყვეტილებებს და ჩამოაყალიბებს ერთგვაროვან პრაქტიკას.

იუსტიციის მინისტრის ბრძანება გამოყოფს რამდენიმე გარემოებას რომელთა მიხედვითაც მოქმედებს როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაულია. აქ კითხვის ნიშნებს აჩენს გარემოება „ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება“ თუ აღნიშნული მოქმედებების შემდეგ წაუყენებ პირს ბრალს, როდესაც უკვე არსებობდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, ამ დროს იზღუდება კონკრეტული პირის უფლებები, რომელსაც იქამდე შეიძლებოდა წაყენებოდა ბრალი, რისი გასაჩივრების უფლებაც აქვს. თუ სასამართლო ან ზემდგომი პროკურორი დააკმაყოფილებს სარჩელს ყველა ის მტკიცებულება ბათილად იქნება ცნობილი, რომელიც მოპოვებულია მას შემდეგ, რაც შეიქმნა სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველი.²⁹ შესაბამისად პროკურორის ასეთი მოქმედება შეიძლება ზიანის მომტანი იყოს საქმისთვის. აღნიშნულის მიზანია დაიცვას სისხლის სამართლის პროცესის დროს სწრაფი და ეფექტური მართლსაჯულების განხორციელება³⁰.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების მესამე ნაწილის თანახმად, პროკურორი დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ე.წ. „სრული ტესტი“, რომელიც მოიცავს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეტაპს. ეს ეტაპებია მტკიცებულებითი ტესტი და საჯარო ინტერესის ტესტი.

²⁹ იხ: სსსკ-ის 169-ე მუხლის მეცხრე ნაწილი.

³⁰ იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), , თბილისი 2015, 119.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების მესამე ნაწილის თანახმად მტკიცებულებითი ტესტი გვაქვს სახეზე, როცა: „საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის“, ხოლო შემდეგ, ამავე ბრძანებაში ის უფრო ფართოდაა განმარტებული და ამბობს: დევნა არ უნდა დაიწყოს თუ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. ასევე არ არის აუცილებელი ყველა მტკიცებულების შეგროვება ბრალდებამდე, საკმარისია მოლოდინი რომ გამოძიების პროცესში შეგროვდება ბრალის დასადასტურებლად აუცილებელი სტანდარტის დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებათა რაოდენობა. ასევე უნდა შეაფასოს პროკურორმა თუ რა პერსპექტივა აქვს საქმეს სასამართლოში როგორც მის ხელთ არსებული მტკიცებულებით აგრეთვე დაცვის მხარის შესაძლო არგუმენტების გათვალისწინებით.³¹

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს მტკიცებულებითი ტესტის დროს პროკურორი აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომელთა გამყენებას ის შეძლებს სასამართლოში ბრალდების დასამტკიცებლად, აქ იგულისხმება, როგორც ის მტკიცებულებები, რომელიც უკვე დევს საქმეში, ასევე ისინი, რომელიც მოპოვებულ იქნება ბრალდებულად ცნობის შემდეგ, მაგრამ აქ გვაქვს პრობლემატური საკითხი ის, რომ პირის ბრალდებულად ცნობა ხდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე დაყრდნობით და არა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტზე დაყრდნობით და მითუმეტეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე დაყრდნობით. შესაბამისად სისხლის სამართლის ბრალის წაყენების არ წაყენების ეტაპზე პროკურორს მოსთხოვო შეაფასოს თუ რა ბედი ელის საქმეს სასამართლოში გაუმართლებელია. ან იმის განსაზღვრა მომავალში ექნება თუ არა საკმარის მტკიცებულებები საქმის მოგებისთვის, რადგან შეიძლება არსებობდეს დიდი მოლოდინი, რომ მომავლი საგამოძიებო მოქმედებიდან მიიღებს საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას და არ გამართლდეს ან პირიქით არ არსებობდეს ასეთი მოლოდინი, მაგრამ მოიპოვო ასეთი მტკიცებულება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი ბრალის წაყენების გაჭინურების გამო. სავსებით

³¹ იხ: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბერის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

მიზანშეწონილი რჩევაა: „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ყველა შემთხვევაში, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მტკიცებულებების სრულყოფილად მოპოვების შემდეგ მოხდეს იმის განსაზღვრა, არსებობს თუ არა პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა“³². ლოგიკურად ასეც უნდა იყოს, რადგან თუ საქმის მასალებით დადგინდება, რომ საქმეს სასამართლოში პერსპექტივა არ აქვს, შემდეგ შეწყვეტს პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად მტკიცებულებითი ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, შეიძლება არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა თუ ის ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს.

ცნების საჯარო ინტერესის განმარტებას არ იძლევა აღნიშნული ბრძანება, უბრალოდ, ჩამოთვლის გარემოებებს, რომელთა დახმარებითაც უნდა მოხდეს საჯარო ინტერესის შეფასება თან დასძენს, რომ აღნიშნული არ არის სრულყოფილად მოცემული და კონკრეტული სიტუაციიდან შეძლება სხვა გარემოება გამოიკვეთოს, რომელსაც დაეყრდნობა პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას.

არ არსებობს საჯარო ინტერესის ერთი კონკრეტული განმარტება, მაგრამ ლოგიკურად „საჯარო ინტერესი არის კომპლექსური ცნება, რომელშიც მოიაზრება, როგორც სახელმწიფოს, ასევე მთლიანად საზოგადოების და მათ შორის ცალკეულ ინდივიდთა, წევრთა (მაგალითად, დაზარალებულთა, ბრალდებულთა) ინტერესები. საჯარო ინტერესის მიზანია დაიცვას საზოგადოება დანაშაულისაგან და თავიდან აიცილოს პირის არასამართლიანი, უსაფუძვლო, უკანონო ბრალდება“.³³

იუსტიციის მინისტრის ბრძანების მესამე ნაწილი გამოყოფს და განმარტავს შედეგ გარემოებებს, (რასაც ითვალისწინებს პროკურორი საჯარო ინტერესის ტესტის შეფასებისას): „ ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები; ბ) დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; გ) სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა;

³² იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი 2015, 181.

³³ იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი 2015, 181-183.

დ) პირის ბრალეულობის ხარისხი; ე) პირის კრიმინალური წარსული; ვ) გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; ზ) პიროვნული მახასიათებლები; თ) მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი“.

აღნიშნული გარემოებები გულისხმობს იმის განსაზღვრას თუ რამდენად მიზანშეწონილია სახელმწიფო რესურსების ამ კონკრეტულ საქმეზე დახარჯვა. მაგალითად ბოლო პერიოდში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიებას ან გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებს განსხვავებით, რამდენიმე წლის წინანდელი პრაქტიკისგან. უნდა შეფასდეს რა ვითარებაშია ჩადენილი დანაშაული, როგორი ხასიათისაა, ვის მიმართ, რა ზიანი გამოიწვია, დაზარალებულის პოზიცია უნდა გაირკვეს, ასევე დანაშაულის კატეგორია, საზოგადოების განწყობა მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ აუცილებლად საზოგადოების მოსაწონი გადაწყვეტილება მიიღოს.

უმნიშვნელოვანესი გარემოება პრევენციული ეფექტის გათვალისწინება რადგან შესაძლებელია კონკრეტული დანაშაული არ მოითხოვდოს მისი ხასიათიდან, ბრალდებულის პიროვნებიდან, დაზარალებულის დამოკიდებულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, მაგრამ დევნის არ დაწყებამ შეიძლება გამოიწვიოს დაუსჯელობის განცდა და მოხდეს აღნიშნული ვითარებით დანაშაულის ზრდა.

პირის ბრალეულობის ხარისხი, პირის კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლები: - ის გარემოებებია, რომლებსაც პროკურორი ადგენს კონკრეტული პირის შესწავლის შედეგად. მაგალითად მისი როლი დანაშაულის ჩადენისას, ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინება, რამდენად თანამშრომლობს გამოძიებასთან მისი დამოკიდებულება მომხდარ ფაქტთან, ინანიებს ჩადენილს თუ არ ინანიებს...

მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი - აღნიშნულის დროს ხდება იმის განსაზღვრა თუ რა სასჯელია მოსალოდნელი და რამდენად მიზანშეწონილია მასზე რესურსების დახარჯვა.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში ასევე ნათქვამია, რომ პროკურორი არ არის ვალდებული დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას (რადგან წერია სიტყვა „მიზანშეწონილია“ და არა სავალდებულო) სისხლისსამართლებრივი დევნის

დაწყების/არ დაწყების შესახებ გადაწყვეტისას, მიიღოს გადაწყვეტილება ბრძანებაში განმარტებული დამატებითი გარემოებები შესაბამისად, მაგრამ წერია: გამოვყოფთ დამატებით გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია ზემოთ განხილულ გარემოებებთან ერთად. მაგალითად თუ „სახეზეა განსაკუთრებით საშიში დანაშაული – წამება“, მიზანშეწონილია გამოძიების დაწყება და გარემოებები, რომელზეც მიზანშეუწონელია სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.³⁴

იუსტიციის მინისტრის აღნიშნულ ბრძანებაზე შეიძლება იმის თქმა, რომ ის ძალიან ზოგადი ხასიათისა, შესაძლებელია მისი ფართო ინტერპრეტაცია, სსსკ-ით პროკურორისთვის მინიჭებულ ფართო დიკრეციას ვერ უწესებს მკვეთრ ჩარჩოს, რომელსაც ვერ გაცდება.

4. სუბიექტური გადაწყვეტილების შესაძლებლობა დისკრეციის გამოყენების დროს მეცნიერების დამოკიდებულება პროკურორის მიერ დისკრეციის დიდი ფარგლებით სარგებლობასთან დაკავშირებით გნსხვავდება. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებით აღიარებულია პროკურორის ფართო დისკრეციის უფლებამოსილება. საქმეზე სმითი შეერთებული შტატების წინააღმდეგ მეხუთე სესიამ დაადგინა „გენერალური პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, აირჩიოს განახორციელოს ბრალდება ან არ განახორციელოს ბრალდება, ან უარი თქვას უკვე წაყენებულ ბრალზე, არის აბსოლიტური“.³⁵ მაგრამ ამერიკელ იურისტებშიც არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება და კრიტიკულად აფასებენ პროკურორის ფართო დისკრეციას.³⁶ მაგრამ განსხვავებით ჩვენის სისხლის სამართლის პროცესისა, ამერიკულ პროცესში დისკრეციის გამოყენების დიდი ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არც ამერიკული პროცესი აღიარებს დაზარალებულს პროცესის მხარედ, დიდ ყურადღებას

³⁴ იხ: საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბერის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. მე-3-ე ნაწილი.

³⁵ იხ: Kaufman I.R., Criminal Procedure in England and the United States: Comparisons in Initiating Prosecutions, Fordham Law Review, 1980, Volume 49, Issue 1, Article 8, 33-34
<https://lawreview.law.ucdavis.edu/issues/43/2/articles/43-2_Fairfax.pdf> [20.08.2020]

³⁶ იხ: მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 23.

უთმოზენ დაზარალეზულის უფლებების დაცვას. ამარიკაში დაზარალეზულს ზოგიერთ დანაშაულზე, სისხლის სამართლის საქმეში აქვს, (სამოქალაქო სანქციით), სამოქალაქო სარჩელით დავის შესაძლებლობა ერთ პროცესში არსებობს სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოება. გარდა სამოქალაქო სარჩელისა ამერიკის კანონმდებლობა იცნობს რესტიტუციის ინსტიტუტს რა დროსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებული ან მსჯავრდებული დაზარალეზულს უნაზღაურებს ზიანს ან ასრულებს რაიმე მოქმედებას მის სასარგებლოდ. ასევე მოქმედებს 1982 წლის კანონი „დანაშაულის მსხვერპლის და მოწმეთა დაცვის შესახებ“, რომლითაც სახელმწიფო იღებს დაზარალეზულის დაცვის ვალდებულებას, რაც უპირველეს ყოვლის ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატება.³⁷

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 1999 წლის სტანდარტები შეიცავს პუნქტებს, როგორც დამოუკიდებლობის, ისე მიუკერძოების შესახებ. დამოუკიდებლობის შესახებ პუნქტი აცხადებს „ 2.1. დევნაზე დისკრეციის გამოყენება, როდესაც ეს კონკრეტული იურისდიქციაში დაშვებული, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და იგი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევებისაგან“³⁸. მე-3 პუნქტი, რომელიც ეხება მიუკერძოებლობას აცხადებს: „პროკურორებმა თავიანთი მოვალეობები უნდა შესრულონ შიშის, უპირატესობის მინიჭების ან წინასწარი განზრახვის გარეშე, კერძოდ: a) თავიანთი ფუნქციები უნდა განხორციელონ მიკერძოებლად; b) არ უნდა დაექვემდებარონ კერძო ან ჯგუფურ ინტერესებს და საზოგადოებისა ზეწოლას; c) იმოქმედონ ობიექტურად...“³⁹ ქართული კანონმდებლობითაც აღიარებულია პროკურორის საქმიანობის აღნიშნული პრინციპები⁴⁰ მაგრამ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა რომ შევაფასოთ ნათელია, რომ პროკურორს აქვს ფართო დისკრეცია, ის წყვეტს დაიწყოს თუ არა დევნა, გამოძიების შეწყვეტის საკითხს და ამ დროს

³⁷ იხ: ჩხეიძე ი., დაზარალეზულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N 2, 2013, 119.

³⁸ იხ: ალინკი მ.,ადამინის უფლებათა სადელმმძღვანელო პროკურორებისთვის, თბილისი 2008, 13. <<https://rm.coe.int/168008ebdd>> [20.08.20]

³⁹ იქვე

⁴⁰ იხ: საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ მე-5 მუხლი.

ხემლძღვანელობს ზოგადი პრინციპებით რა დროსაც შესაძლებელია მიიღოს არსწორი გადაწყვეტილება (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) დიდია სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების საფრთხე.

5. შუალედური დასკვნა

სისხლის სამართლის კოდექსით არის განსაზღვრული, როდის იწყება გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა და როდის შეუძლია შეწყვიტოს პროკურორს ის. არის გარემოები, რომელთა არსებობის დროსაც პროკურორის მიერ გამოძიების ან და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან/არ დაწყებასთან დაზარალებულს პრეტენზიები ვერ ექნება. მაგალითად, როდესაც ბრალდებული გარდაიცვლება; ორჯერ ბრალდების პრინციპის შემთხვევისას; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობა; შეურაცხადობა დანაშაულის ჩადენისას, მაგრამ ასევე არის გარემოები, რა დროსაც შეიძლება ბრალდებულს გაუჩნდეს უსამართლობის განცდა. იგივე, თუნდაც ამინისტის აქტის დროს, რადგან ქმედების კვალიფიკაციას განსაზღვრავს პროკურორი და შესაძლებელია ისე დააკვალიფიციროს, რომ დაემთხვეს ამინისტის აქტში მოცემულ დანაშაულს. მითუმეტეს დიდი საფრთხეა დისკრეციის გამოყენების შემთხვევისას. შეიძლება იმაზე კამათი რა ფარგლებში უნდა მოვაქციოთ პროკურორის დისკრეცია, მაგრამ როდესაც ენიჭება პროკურორს დისკრეციის ამხელა შესაძლებლობა მაშინ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დაზარალებულის უფლებების სათანადო დაცვას თუ როგორ იცავს ქართული კანონმდებლობა დაზარალებულს პროკურორის სუბიექტივიზმის საფრთხისგან ან უკანონო, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებისგან. განხილულ იქნება მომდევნო თავში.

IV. გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არ დაწყების გასაჩივრების ფარგლები დაზარალებულისთვის

1. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

სანამ უშვალოდ გასაჩივრებას განვიხილავ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სსსკ-ის წინა რედაქცია იცნობდა ოთხი სახის სისხლისსამართლებრივ დევნას ესენია: საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.⁴¹

დღევანდელი კოდექსი იცნობს მოხლოდ საჯარო, სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც გულისხმობს ბრალდების მონოპოლიას სახელმწიფოს ხელში. სუბსიდიური დევნის დროს დაზარალებული მხარს უჭერდა პროკურორის ბრალდებას, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პროკურორი შეცვლიდა ან უარს იტყოდა ბრალდებაზე დაზარალებულს უფლება ქონდა თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით მხარი დაეჭირა ბრალდების პირვანდელ ვერსიისთვის. ასეთ დროს პროკურორს უფლება ქონდა არ მიეღო პროცესში მონაწილეობა, რაც არ იწვევდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.⁴²

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მისი ბედი. სისხლისსამართლის კოდექსის გარკვეულ დანაშაულებზე (მაგ. სსკ-ის 137-ე მუხლით პირველ ნაწილზე) დამოკიდებული იყო დაზარალებულის საჩივარზე, რის გარეშეც პროკურორს არ ქონდა უფლება დაეწყო დევნა. არსებობდა გამონაკლისი, განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე უნდა ყოფილიყო ერთობლიობაში იმ ფაქტთან, რომ დაზარალებულს არ უნდა შეძლებოდა თავისი ინტერესების დაცვა მისი უმწეობის გამო, მაგრამ თუ დაზარალებული ქმედუნარიანი პირი იყო და არ იქნებოდა მისი წერილობითი თანხმობა დევნის დაწყებაზე პროკურორს არ ქონდა ამის გაკეთების უფლება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დამოკიდებული იყო დაზარალებულის საჩივარზე, ხოლო შემდეგ ბრალდება ხდებოდა საჯარო ხასიათის და პროკურორზე იყო დამოკიდებული საქმის ბედი გარდა იმ შემთხვევისა, როცა

⁴¹იხ. 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი, ძალადაკარგულია 01/10/2010 , <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882?publication=103>> [21.08.2020.]

⁴²იქვე. 25-ე მუხლი.

დაზარალებული ბრალდებულს შეურიგდებოდა და საქმის გაგრძელება ზიანის მომტანი იქნებოდა მათთვის.⁴³

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა - ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება (სსკ-ის ორ მუხლზე 120-ე მუხლზე, ჯამრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება და 125-ე მუხლზე, (ამოღებოლია 2016 წლის პირველი დეკემბრის ცვლილებით) ცემაზე.) მხოლოდ დაზარალებულის სურვილზე იყო დამოკიდებული და თავად გამოდიოდა პროცესში ბრალმდებლად. პროკურორი საქმეში მონაწილეობის იღებდა მხოლოდ მაშინ, თუ ამას მხარეები წერილობით მოითხოვდნენ. სასამართლო გამოძიების დაწყებამდე ან დაზარალებული ინდივიდუალურად. ასევე იმ შემთხვევაში იღებდა მონაწილეობას, როცა საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ქონდა. ასეთ დროს მნიშვნელობა არ ქონდა შერიგდებოდნენ თუ არა დაზარალებული და ბრალდებული საქმე არ წყდებოდა, სხვა ყველა შემთხვევაში მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე დასაშვები იყო პროცესის შეწყვეტა.⁴⁴

ამ დროს სასამართლო დარბაზში შესაძლებელი იყო მომხადარიყო ისე რომ პირი ერთდროულად დაზარალებულიც ყოფილიყო და ბრალდებულიც.⁴⁵

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი ადგენდა გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაზარალებულს უფლება ქონდა მიემართა სასამართლოსთვის საჩივრით. იმ შემთხვევაში თუ მას უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნდა პროკურორის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. ხოლო ამ მუხლის მეხუთე ნაწილით სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უქმდებოდა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. ხოლო სარჩელის დაუკმაყოფილების შემთხვევაში ამავე მუხლის მეექვსე

⁴³ იქვე. 26-ე მუხლი.

⁴⁴ იქვე. 27-ე მუხლი.

⁴⁵ იხ: სისხლის სამართლის პროცესი, რეზო გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 222-223.

ნაწილის შესაბამისად, მოსამართლის დადგენილების გასაჩივრების უფლება ქონდა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში.

როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, წინა კოდექსი დიდ უფლებებს ანიჭებდა დაზარალებულს. რიგ შემთხვევებში აღნიშნული გაუმართლებელია. მაგლითად შემთხვევა როდესაც გაუპატიურების შემთხვევის დროს სისხლისსამართლებრივი დევნისთვის საჭირო იყო დაზარალებულის საჩივარი, მაგრამ დადაებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი რომ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოს გზით კონტროლის შესაძლებლობას იძლეოდა.

2. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დაზარალებულის გასაჩივრების უფლებაზე ამბობს: „დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა, იმავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული ან დანაშაული, რომელიც კანონის თანახმად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში თუ ზემდგომი პროკურორი საჩივარს არ დააკმაყოფილებს, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება“. სსსკ-ის 168-ე მუხლის მეორე ნაწილი კი დაზარალებულის უფლებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უარის შესახებ ამბობს: „დაზარალებულს უფლება აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება, ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი

პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც კანონის თანახმად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება“.

როგორც კოდექსის ამ მუხლებიდან ჩანს ყველა შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული სსკ-ის მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილით „განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა“.

აგრეთვე სასამართლოში გასაჩივრების უფლება დაზარალებულს აქვს იმ შემთხვევაში თუ საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. აღნიშნული საქმები კი არის: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-144³ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ“ და საქმზე რა დროსაც პირის სიცოცხლის მოსპობა მოხდა, იმ დროს, როცა ის იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.⁴⁶

⁴⁶იხ: საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

ასევე სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს დაზარალებულს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას იმ შემთხვევაში თუ ჩადენილია ოჯახში ძალადობა ან სსკ-ის 11¹ გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის არსებობისას ანუ კანონმდებელი დანაშაულთა უფრო მეტ რაოდენობაზე აძლევს უფლებას დაზარალებულს გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოში გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ვიდრე პროკურორის გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ.

2.1. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების ეფექტურობა

როგორც ზემოთ აღნიშნა დაზარალებულს უფლება აქვას ყველა შემთხვევაში გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი ზემდგომ პროკურორთან და მხოლოდ გარკვეულ დანაშაულებზე სასამართლოში. გასაჩივრების ორივე სახე თანაბარი შედეგის მომტანია თუ არა დაზარალებულისთვის იმსჯელა საკანონსტუციო სასამართლომ დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით და თქვა: „ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა და სასამართლოს წესით გასაჩივრება არ არის უფლების დაცვის იდენტური საშუალებები. შესაბამისად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.⁴⁷

საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ გასაჩივრების ფორმასთან შემდეგია - საზოგადოებას აქვს ნაკლები ნდობა, რის შესახებაც საუბარია სახალხო დამცველის ანგარიშში. კერძოდ ნათქვამია: რომ მოსახლეობაში დაბალი ნდობა არსებობს ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების რადგან როგორც წესი შედეგი ანალოგიურია, ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების.⁴⁸

2019 წლის 7-15 მარტს, CRRC საქართველომ ჩაატარა სატელეფონო გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა ასევე ინფორმაციას მოსახლეობის დამოკიდებულებას

⁴⁷ იხ: „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.2 -10

⁴⁸ იხ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014, 347.

პროკურატურის მიმართ. კვლევამ აჩვენა „ისინი, ვისაც ბოლო წლებში თავად ჰქონიათ შეხება პროკურატურასთან ან მათი ოჯახის წევრს/მეგობარს ჰქონია პროკურატურასთან შეხება, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით ნაკლებად ენდობა პროკურატურას. პროკურატურასთან მოსახლეობის მხოლოდ 8%-ს ჰქონია გარკვეული შეხება. მათგან მხოლოდ 28% ენდობა პროკურატურას, 59% კი არ ენდობა მას. შედარებისათვის, მოსახლეობის იმ ნაწილიდან, რომელსაც შეხება არ ჰქონია პროკურატურასთან, 38% არ ენდობა უწყებას, ხოლო 41% ენდობა მას“.⁴⁹ ანალოგიური ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 4-დან 23 მარტამდე პერიოდში ჩატარებული კვლევა აჩვენებს: „რაც შეეხება პროკურატურას, საქართველოში საზოგადოებრივი აზრი მის მიმართ ნდობისკენ იხრება. მოსახლეობის ნახევარზე მეტი (57%) აცხადებს, რომ ენდობა პროკურატურას (19% სრულად ენდობა და 38% უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა მას), 26% კი არ ენდობა მას. მოსახლეობის 17%-მა ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. პროკურატურის მიმართ ნდობის მაჩვენებელი 2018 წლის შედეგებისგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა, 2019 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია“.⁵⁰ როგორც ამ კვლევებიდან ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია პროკურატურის ნდობასთან დაკავშირებით წლების მიხედვით. მაგრამ ნათელია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ენდობა პროკურატურას და იმ შემთხვევაში თუ ასეთ ადამიანს მოუწევს პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრება ისევ პროკურატურის სისტემაში მყოფ პირთან, უშუალო ხელმძღვანელთან იმ პირის, რომლის მოქმედებასაც ასაჩივრებს, არ ექნება ნდობა. გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით სულ ექნება განცდა, რომ უსამართლოდ მოექცნენ.

სახალხო დამცველის კიდევ ერთი ანგარიშიდან ირკვევა, რომ უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებულისთვის სასიკეთო შედეგით არ მთავრდება ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შემთხვევები. ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი შესახებ,

⁴⁹ იხ: <https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/02.pdf> [21.08.2020]

⁵⁰ იხ: <<https://idfi.ge/public/upload/Blogs/CRRC%20Final.pdf>> [21.08.2020]

რადგან ქვემდგომი პროკურორის ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც წესი შეთანხმებულია ზემდგომთან.⁵¹

ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების არაეფექტურობის საფუძვლიან ეჭვს ვერც პროკურატურა აქარწყლებს. გენერალურ პროკურატურას მივმართე საჯარო ინფორმაციის გამათხოვრებით იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი პირის ცნობა მოხდა დაზარალებულად 2018-2019 წლებში და რამდენმა პირმა გასაჩივრა პროკურორის გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ, რაზეც შემდეგი ინფორმაცია მომაწოდეს: 2018 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 13 847 პირი, ხოლო 2019 წელს - 13 849 პირი. რაც შეხება განცხადებით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას, აღნიშნულის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს.⁵²

ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების ეფექტურობაზე შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევიდან კონკრეტული მაგალითი, რომელიც ეხება დაზარალებულის უფლება მონაცვლედ ცნობაზე უარის გასაჩივრებას. დაზარალებულმა ძმის გარდაცვალების ფაქტზე მიმართა პროკურატურას რომ ეს სამართალდამცავი ორგანოების უყურადღებობის გამო მოხდა მაგრამ პროკურორმა უპასუხა: „არ არსებობს ის წინაპირობები, რომელიც დააკმაყოფილებდა ვარაუდს, რომ შესაძლოა, ჩადენილი იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, პროკურატურამ ყურადღება გაამახვილა არა ზიანის მიყენების ფაქტზე, რომელიც განმცხადებელს ძმის გარდაცვალების შედეგად მიადგა, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის დადასტურებულად არსებობის აუცილებლობა“.⁵³ ამ

⁵¹იხ: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ეფექტური გამოძიების საკითხებზე, თბილისი, 2014, 60.

⁵²იხ: საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი №13/49062, 2020 წლის 12 აგვისტოს განცხადებაზე (რეგისტრაციის №01/13-64904).

⁵³იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016, 14.

მაგალითიდან ირკვევა ის ფაქტი, რომ არაეფექტურია ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმი.

ასევე შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ კიდევ ერთი - პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზანშეწონილობაზე, საქალაქო სასამართლომ განზრახ მკვლევლობის საქმეზე გარდაცვლილის დას პროკურატურამ უარი უთხრა დაზარალებულის უფლება მონაცვლედ ცნობაზე, რადგან ბრალდებული არ არსებობდა რაზეც სასამართლომ თქვა, რომ მნიშვნელობა არ აქვს არის თუ არა ბრალდებული გამოვლენიანი, ეს არ არის დაზარალებულის სტატუსის მოპოვების დამაბრკოლებელი ან გამომრიცხველი გარემოება⁵⁴. შესაბამისად, რომ არა სასამართლოს კონტროლი, ადამიანს უსამართლოდ ეზღუდებოდა უფლებები.

ამ სკიტხის განხილვისას ასევე უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მესამე ნაწილის შეფასება, რომლის თანახმადაც: „ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი გადაწყვეტილებით“, როგორც ამ ნორმიდან ირკვევა თუ ზემდგომი პროკურორი ჩათვლის, რომ ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა, ის მას გააუქმებს დაზარალებულის საჩივრის გარეშე - აქაც იკვეთება გასაჩივრების ფორმის არაეფექტურობა.

აღსანიშნავია თავად ის ფაქტიც, რომ კანონმდებელიც უშვებს გარემოებას, შესაძლებელია ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება უკანონო ან დაუსაბუთებელი რომ იყოს, რადგან გარკვეულ დანაშაულებზე აძლევს სასამართლოში გასაჩივრების უფლებას. ზემოთ მოყვანი მსჯელობიდან ნათელია, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება არ არის ეფექტური დაზარალებულის დაცვის კუთხით. არ ვცდილობ იმის თქმას, რომ სრულიად გამოუსადეგარია, არა, ის უნდა არსებობდეს, რადგან მოახდინოს საქმეების რაოდენობის გარკვეულ ფილტრაცია. ამასთან, უნდა არსებობდეს გასაჩივრების ალტერნატიული მექანიზმიც.

⁵⁴ იხ:თბილის საქალაქო სასამართლოს განჩინება, N 3/8106, 22 აპრილი, 2015.

2.2. კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებთან შესაბამისობა

საინტერესოა იმის განხილვა დაზარალებულის გასაჩივრების უფლების მოცემული ფარგლები პროკურორის გადაწყვეტილებაზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შემთხვევებში საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.

2.2.1. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით დაცული სფეროა: „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ერთი მხრივ წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს“.⁵⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ნათელია, რომ პირის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. ის არის საშუალება, ადამიანებისთვის უფლებების დაცვის, თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის დროს, რადგან მათ იციან, რომ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეძლებს გამოვლენას და აღდგენას მათი დარღვეული უფლების. აღნიშნული მუხლით დაცულ სფეროში ექცევა სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულების უფლება. სამართლიანი სასამართლო კი მათ შორის გულისხმობს: ადმინისტრაციული

⁵⁵ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.⁵⁶ კონსტიტუციის ამ მუხლით მონიჭებული უფლების შეზღუდვით პრაქტიკულად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სხვა ულებებით სარგებლობა, შესაბამისად მისი შეზღუდვა ნებისმიერი ხარისხით, მოითხოვს არგუმენტირებულ დასაბუთებას.

საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს კონსტიტუციურ ზღვარს, რომლითაც მოხდება ამ უფლების შეზღუდვა, მაგრამ ეს მუხლი მაინც არ არის აბსოლიტური და არსებობს შიდა ზღვარი. შესაბამისად „შიეძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით⁵⁷“, მაგრამ დაცული უნდა იყოს პროპორციულობა და მიზანშეწონილება. ნათელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილი და 168-ე მუხლის მეორე ნაწილით იზღუდება სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ლეგიტიმური მიზნის არსებობა უფლების შეზღუდვის დროს აპრიორი არ არის გამამართლებელი საგანი. ამ დროს დაცული უნდა იყოს პროპორციულობა თუ შეზღუდული სიკეთე უფრო ღირებულია ვიდრე შეზღუდვით მიღებული ვერ გამართლდება ჩარევა.⁵⁸

დაზარალებულისთვის სასამართლოში მიმართვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის სწრაფი და ეფექტიანი მართლსაჯულების განხორციელება, ასევე მისი ხელოვნური გადატვირთულობისგან დაცვა. აღნიშნული ლოგიკურია, რადგან, რაც უფრო ნაკლები საქმე შევა სასამართლოში არ მოხდება მისი გადატვირთულობა და ეს უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან მართლსაჯულებას სხვა კატეგორიის საქმეებზე. აღნიშნული მიზეზით სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვაზე მსჯელობა აქვს

⁵⁶ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9

⁵⁷ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15

⁵⁸ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60

საკონსტიტუციო სასამართლოს და მიჩნული აქვს კანონიერად⁵⁹, მაგრამ ლეგიტიმუტი მიზნის არსებობა აპრიორი არ ნიშნავს ნორმის კონსტიტუციურობას, რადგან ასავე უნდა აკმაყოფილებდეს შეზღუდვის პროპორციულობის მოთხოვნას.

„სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის შეფასებისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული იმ უფლებისა თუ სიკეთის მნიშვნელობა, რომლის დასაცავადაც პირს სურს, მიმართოს სასამართლოს. რა უფლებრივ სიკეთეს მიემართება სადავო ნორმით დადგენილი აკრძალვა და ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რამდენად დიდია ამ ურთიერთობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების გზით დაშვებული შეცდომის პრევენციისა და გამოსწორების ინტერესი“. ⁶⁰ აღნიშნულის მიხედვით შევაფასოთ ნაშრომის კველევის ნორმები.

პირველ რიგში განვიხილოთ ის საკითხი, მართლაც სასამართლოს ისეთი გადატვირთულობის საფრთხეს წარმოშობს ის ფაქტი, რომ დაზარალებულს ყველა კატეგორის სსკ-ის ყველა მუხლზე რომ ქონდეს პროკურორის გადაწყვეტილების გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. ამის გასარკვევად საჭიროა სტატისტიკის შეფასება. სტატისტიკურად ყველაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე სხვა სასამართლოებთან (რაიონულ, საქალაქო) შედარებით განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში⁶¹, სწორედ აღნიშნული სასამართლოდან გამოვითხოვე საჯარო ინფორმაცია, სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობის შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, გამოძიების შეწყვეტის პროკურორის დადგენილების გაუქმების თაობაზე, ანუ საქმეები სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი

⁵⁹ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69

⁶⁰ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბერის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21

⁶¹ შე: საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა:ნაწილი III - სისხლის სამართლის საქმეები, 2019 წლის, 65-67. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>> [21.08.20]

პრიმა ნაწილის შესაბამისად დანაშაულებზე, რომლებზეც დაზარალებულს აქვს გასაჩივრების უფლება. მოცემულის სტატისტიკის თანახმად თბილის საქალაქო სასამართლომ: 2016 წელს განიხილა ასეთი 2 საქმე, 2017 წელს განიხილა ასეთი 9 საქმე, 2018 სწელს განიხილა ასეთი 2 საქმე, ხოლო 2019 წელს განიხილა ასეთი 5 საქმე.⁶² რომ ვთქვათ, გასაჩივრების ეს მექანიზმი ახალია და მოსახლეობა არ იცნობს მას, ალოგიკურია, რადგან 2014 წლიდან მოქმედებს გასაჩივრების ასეთი ფორმა. ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის სტატისტიკა 2020 წლის მაისის სტატისტიკური მონაცემების თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 5 საქმეზე⁶³, ხოლო ივნისის მონაცემების თანახმად საქმე შეწყდა 11 საქმეზე⁶⁴.

სასამართლოს გადატვირთვაზე საუბრისას უნდა შევავსოთ ასევე ის გარემოება თუ როგორ ხდება სასამართლოში ასეთი ტიპის საჩივრების განხილვა. მოცემულ შემთხვევებში თუ სახეზე გვაქვს, მაგალითად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე დაზარალებულს შეუძლია ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში, რომელზეც სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს 15 დღის ვადაში ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე.

გასათვალისწინებელია საკონსტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც იხილებოდა სარჩელი ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების დაზარალებულის სტატუსზე უარის შესახებ სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი, სადაც საკონსტუციო სასამართლო თქვა, რომ არ არსებობს გასაჩივრების უფლების დაშვებით სასამართლოს

⁶² იხ: თბილის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 2020 წლის 10 ივნისს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პასუხი N 1-04122/11417

⁶³ იხ: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მაისი თვის სისხლის სამართლის სტატისტიკა, ცხრილი სამი, 1. <<https://www.geostat.ge/media/32394/danarti-maisi-2020.pdf>> [21.08.2020]

⁶⁴ იხ: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის ივნისის თვის სისხლის სამართლის სტატისტიკა, ცხრილი სამი, 1, <<https://www.geostat.ge/media/32895/danarti-ivnisi-2020.pdf>> [21.08.2020]

გადატვირთვის რისკი.⁶⁵ ლოგიკურია, რომ უფრო ნაკლები რისკი იარსებებს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების დაშვებით, რადგან ამ დროს სუბიექტთა წრე, ვისაც სარჩელით მიმართვა შეუძლია ბევრად უფრო ნაკლებია ვიდრე დაზარალებულის სტატუსზე სარჩელისას.

პროკურორის დისკრეციაში ჩარევა ხომ არ მოხდება თუ დაუშვებთ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას? ამაზე პასუხია - არა, რადგან ამ დროს კი არ ხდება დისკრეციის უფლებამოსილებაში ჩარევა, არამედ სასამართლო ამოწმებს სამართლებრივ და ფაქტობრივ წინაპირობებს ანუ რამდენად შეასრულა პროკურორმა კანონით დაგენილი მოთხოვნები გადაწყვეტილების მიღებისას.⁶⁶ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვით პროკურატურას ვანიჭებთ ერთი მხრივ გადაწყვეტილების მიღების უფლებას და მეორე მხრივ ამ გადაწყვეტილებზე მოსამართლის ფუნქციას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.

ახლა შევაფასოთ საკითხი თუ რა უფლების დაცვას ემსახურება დაზარალებულისთვის სასამართლოში გასაჩივრების უფლება. ყოველთვის არსებობს შეცდომის ან გადაცდომის რისკი სახელმწიფოს მოქმედებების დროს. იმ შემთხვევაში თუ ეს მოხდება დანაშულის ფაქტის დროს და დანაშაული დარჩება გაუხსნელი და დამნაშავე დაუსჯელი, ეს ზიანის მომტანია, როგორც ერთი კონკრეტული დაზარალებულისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა არსებობდეს გარკვეული საშვალეები, ყველაზე ეფექტური საშვალეა კი არის სასამართლოს კონტროლი. ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტულად დაზარალებულის ინტერესი საქმის გამოძიების და ზიანის ანაზღაურების კუთხით. დანაშაულის გამოუძიებლობამ და დამნაშავეს დაუსჯელობამ, დაზარალებულში შეიძლება

⁶⁵ იხ: საქართველოს საკონსტრუქციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბერის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „მპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28

⁶⁶ იქვე: II-28

გამოიწვიოს დაუცველობის გრძნობა, მეორელი ვიქტიმიზაცია. ფიქრი, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო არ ზრუნავს ხალხზე ან წარმოშვას სურვილი, სამართლის საკუთარი ხელით აღსრულების, რაც ახალი დანაშაულის მიზეზი შეიძლება გახდეს.

განვიხილოთ რა ეფექტი ექნება სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას სამართლის განვითარების კუთხით. უდავოა ის ფაქტი, რომ სასამართლო გამოავლენს უკანონო გადაწყვეტილებებს და ის ფაქტი რომ მას ექნება პრევენციული გავლენა პროკურორებისთვის. კერძოდ გაიზრდება დასაბუთების ხარისხი, როგორც ქვემდგომი ისე ზემდგომი პროკურორებისგან თუ რატომ მიიღეს კონკრეტული გადაწყვეტილება. პრაქტიკულად მინიმუმამდე დავა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და უკანონო გადაწყვეტილების მიღების რისკები, რადგან პროკურორს ეცოდინება, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

შესაბამისად ერთ მხარეს დგას დაზარალებულის და ზოგადად საზოგადოების ინტერესი, დანაშაულის გამოძიების კუთხით და მეორე მხარეს სასამართლოს გადატვირთულობის საკითხი, რომელიც, როგორც ზემოთ განხილვიდან გამოჩნდა მიზეზულია და შეძლება მხოლოდ გამოიწვიოს მცირედი ტექნიკური პრობლემები ან ფინანსური. შეიძლება საჭირო გახდეს, რამდენიმე მოსამართლის დამატება, მაგრამ ამისი საჭიროების შანსი მინიმალურია, რადგან, როდესაც თავად სახელმწიფომ მიღო ცვლილება, რომლითაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შედეგად დაზარალებულს მისცა შესაძლებლობა სასამართლოში გასაჩივრების, პროკურორის გადაწყვეტილებების გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ განმარტებით ბარათში მიუთით: „წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას; პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე; პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება⁶⁷“.

საბოლოო ჯამში მივედით დასკვნამდე, რომ სასამართლოში გასაჩივრებით შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე ადმინისტრაციული პრობლემები, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს: ზოგადი ადმინისტრაციული სირთულეების არუმენტით არ შეიძლება სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვა⁶⁸. აქედან გამომდინარე ნათელია რომ სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის და 168-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლითაც დაზარალებულს უზღუდავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებას.

2.2.2. თანასწორობის უფლება

კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლი იცავს ადამიანთა თანასწორობას კანონის წინაშე. მისი მთავარი მოთხოვნაა არსებითად თანაბარი პირობები კანონმდებელმა ჩააყენოს თანაბარ პირობებში ხოლო არათანაბარი პირობებს მოექცეს შესაბამისად განსხვავებულად. ნორმის ძირითადი არსი და მიზანია „ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირობებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად⁶⁹“. აღნიშნული არ გულისხმობს რომ ყველა პირს ერთნაირი პირობები შეუქმნას, განურჩევლად მათი მდგომარეობისა მისი მიზანია არსებითად თანასწორებს მოეპყრას თანასწორად, შექმნას ისეთი კანონმდებლობა რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ შედეგს. შესაბამისად აღნიშნული კონსტიტუციის მუხლი უმნიშვნელოვანესია ადამიანთა უფლებების კუთხით. იგი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს.

⁶⁷ იხ: განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ დაზარალებული უფლებები, კანონპროექტის ფინანსური დასაბუთების ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>> [21.08.2020]

⁶⁸ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

⁶⁹ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

მეთერთმეტე მუხლი არ აწესებს კონსტიტუციურ ზღვარს, მაგრამ არსებობს შიდა ზღვარი შესაბამისად ის არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელი ამისი შეზღუდვა. „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს⁷⁰“. შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს ამ განმარტებით ნათელია, რომ ყველა სახის განსხვავებული მოპყრობა არსებითად თანასწორ პირებს შორის არ წარმოადგენს დისკრიმინაციას იმ შემთხვევაში თუ ის ემსახურება გონივრულ მიზანს, რომელიც გადაწონის დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტს.

სსსკ-ის 106 მუხლის პირველი პრიმა ნაწილით და 168 მუხლის მეორე ნაწილით პირთა დაყოფა ხდება დანაშაულის კატეგორიის მიხედვით ან იმის მიხედვით, ექვემდებარება თუ არა სახელმწიფო ინსპექტორს ან სახეზეა თუ არა ოჯახური დანაშაული, ანუ არ გვაქ ე.წ. კლასიკური ნიშნით დიფერენცირება. ახლა უნდა შევაფასოთ აღნიშნული პირები არიან თუ არა არსებითად თანასწორები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით.

ცალკეული დანაშაულის კუთხით რომ განვიხილოთ თანასწორობის საკითხი მაგალითად სსკ-ის 137 მუხლი გაუპატიურების მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით თან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვაწლამდე“, ანუ მძიმე დანაშაული, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილი იგივე ქმედება „ა“ ქვეპუნქტით „არაერთგზის“, და „ბ“ ქვეპუნქტით „იმისმიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე–141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული“, „ისჯება თავისუფლების აღკვეთით

⁷⁰ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3

ვადით ათიდან ცამეტ წლამდე“ ანუ უკვე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ცუდად ჟღერს, მაგრამ გამოდის, რომ იმ ადამიანს უფრო გაუმართლა ვინც ამ დანაშაულში ნასამართლევა პირმა გააუპატიურა, რადგან მას უფლება აქვს გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი სასამართლოში. არადა რეალურად ორივე დაზარალებულს ერთნაირი ინტერესი აქვთ დანაშაულის კვალიფიკაციის მიუხედავად დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. ანალოგიად შეგვიძლია განვიხილოთ მაგალითად სსკ-ის 179-ე მუხლზე ყაჩაღობაზე. ამ მუხლის პირველი ნაწილით: „ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდწლამდე“, ანუ მძიმე დანაშაული ხოლო მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად იგივე ქმედება ჩადენილი „არაერთგზის“ – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე“, ანუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. სსკ-და მსგავსი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. წინა და ამ მაგალითშიც ბრალის ხარისხი განსხვავდება, მაგრამ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი ერთია, მაგრამ კანონმდებელი მათ განსხვავებულ პირობებში აყენებს, მიუხედავად თანასწორობისა.

ასევე რომ შევაფასოთ სხვადასხვა დანაშაულები მაგალითად 370-ე მუხლი ცრუ ჩვენება, რომლის ვერ გამოაშკარავების შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს მტკიცებულებათა ერთობლიობა და უდანაშაულო პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასეთ დროს იმ პირს, რომელსაც იმეტებდნენ „ციხისთვის“ უფლება არ აქვს გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი სასამართლოში. და განვიხილოთ სსკ-ის 126 პრიმა მუხლი, ოჯახში ძალადობა, რა დროსაც დაზარალებულს აქვს სასამართლოში მიმართვის უფლება ანუ გაურკვეველია რა კრიტერიუმით ადგენს კანონმდებელი, რომელი დანაშაულიდან უფრო მეტი ზიანი

მიადგა დაზარალებულს და რატომ არის ერთი დანაშაულის მსხვერპლის დაცვა უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოსთვის ვიდრე მეორესი.

ასევე საფრთხეს ქმნის სამოხელეო დანაშაულის მუხლები, რადგან მხოლოდ გარკვეული ნაწილია განსაკუთრებით მძიმე ან სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე, შესაბამისად არსებობს დანაშაულის გამოუძიებლობის საფრთხე.

საბოლოო ჯამში უნდა ვთქვათ, რომ სახელწიფო თავად ადგენს, რომელი დანაშაულს რა სასჯელი შეეფარდოს ან რომელი იყოს სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე, ანუ დაზარალებულს არ შეუძლია რაიმე ზეგავლენა მოახდინოს სასჯელზე, მაგრამ მისთვის სულ ერთია რა სანქცია ემუქრება დამნაშავეს მთავარია მან დაიცვას საკუთარი უფლებები. შესაბამისად სახეზეა დიფერენცირებული მოპყრობა არსებითად თანასწორ პირებს შორის.

სსსკ-ის 106 მუხლის პირველი პრიმა ნაწილის და 168 მუხლის მეორე ნაწილის მიერ დაზარელებულისთვის სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საჯარო მიზანზე აღარ ვისაუბრებ, რადგან აღნიშნული განხილულია ნაშრომის მესამე თავის 2.2.1. ქვეთავში. ჩარევის პროპორციულობა რომ შევაფასოთ, ნათელია, რომ არამართლზომიერად იზღუდება იმ დაზარელებულების უფლებები, რომელთაც არ აქვთ გასაჩივრების უფლება იმათთან შედარებით, ვინც აღნიშნული უფლებით სარგებლობენ, რადგან ეს ძირითად დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე ქვეყანაში არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და არა ზიანის განსხვავებაზე. შესაბამისად სასამართლოს გადატვირთულობის მიზეზით, რომელიც დაუსაბუთებელია, დაუშვებელია ასეთი მაღალი ინტესივობით ჩარევა ადამიანის უფლებებში. სისხლის სამართლის აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება კონსტიტუციით აღიარებულ თანასწორობის უფლებას.

3. საერთაშორისო მიდგომა დაზარალებულის უფლებებთან გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და დევნის დაწებაზე უარის დროს
„ბრალდებულის თუ პროკურორის სტატუსისაგან განსხვავებით, ევროპის ქვეყნებში დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით მზა რეცეპტი და ფართოდ გავრცელებული მოდელი არ არსებობს. მთავარი მიზანია, რომ დაზარალებულის ინტერესები დაკმაყოფილდეს, რომელიც მხოლოდ ქონებრივი,

ფინანსური დაკმაყოფილებით არ შემოიფარგლება და დამნაშავის სათანადოდ დასჯასაც გულისხმობს⁷¹.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთი კონკრეტული ფორმულა დაზარალებულის ინტერესების დაცვისთვის განვიხილოთ გარკვეული კანონმდებლობები და შევადაროთ საქართველოს კანონმდებლობას. თავდაპირველად განვიხილოთ ევროპის კავშირის 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივას „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების და 2001/220/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ“. აღნიშნული დირექტივის მეთერთმეტე მუხლში საუბარია იმაზე, რომ დაზარალებულს უნდა ქონდეს პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მძიმე დანაშაულთან მიმართებით მაინც სასამართლოში, მაგრამ დირექტივა არ ავალდებულებს სახელმწიფოფს დაზარალებულს მისცეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. აღნიშნული უფლების შეზღუდვის გამართლება არ შეიძლება შეზღუდულ რესურსებზე აპელირებით.⁷² რომ შევადაროთ ქართულ კანონმდებლობას პირველ რიგში უნდა ვთქვათ ის, რომ აღნიშნული დირექტივა აწესებს მინიმალურ სტანდარტებს, მართალია გასაჩივრების უფლებაზე უთითებს მძიმე დანაშაულს და არა ყველა კატეგორიას, მაგრამ ამსთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტრუქციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საუბრობს დაზარალებულის უფლების დაცვის მაღალი სტანდარტის აუცილებლობაზე. ის ამბობს, რომ ყველა კატეგორიის დანაშაულზე უნდა ქონდეს პროკურორის გადაწყვეტილების გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ აგრეთვე დევნის დაწყებაზე უარის შესახებ გასაჩივრების შესაძლებლობა,⁷³ თუმცა ქართველი კანონმდებელი ყურადღებას არ აქცევს დაზარალებულის უფლებების დაცვის აღნიშნულ საჭიროებებს. გარდა საკონსტრუქციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების

⁷¹ იხ: ხატიაშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი; 54.

⁷² იხ: DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, მუხლი 11.

⁷³ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52.

ასევე თავად ამ დირექტივის მინიმალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. მაგალითად სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილიზე დაზარალებულის გასაჩივრების უფლებას არ ითვალისწინებს სსსკ მაშინ, როცა დირექტივაში გამახვილებულია ყურადღება გარკვეული დანაშაულის მსხვერპლებზე მათ შორის სექსუალური ძალადობის, რომელთაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ.⁷⁴ დაზარალებულის გასაჩივრების უფლებაზე აგრეთვე საუბარია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 6 ოქტომბრის რეკომენდაციაში, რომელშიც ნათქვამია დაზარალებულს უნდა ქონდეს შესაძლებლობა, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივ დევნის დაწყებაზე უარი გაასაჩივროს იერერქიულად განხილვის შედეგ ანუ დევნის ორგანოში გასაჩივრების შემდეგ სასამართლოში ან ქონდეთ უფლება კერძო გამოძიების.⁷⁵

ახლა გავანლიოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება ამ მიმართულებით. აღნიშნული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ამბობს, რომ თუ არსებობს ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრის შესაძლებლობა, სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში არ მოიცავს მსხვერპლისთვის სისხლის სამართალწარმოების ინიცირების აბსოლუტურ უფლებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის გასაჩივრების უფლებას⁷⁶, სსსკ-ის 92-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ თავად სტრასბურგის სასამართლო ამბობს, რომ ყველა შემთხვევაში არ უნდა ეზღუდებოდეს დაზარალებულს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მიუხედავად სამოქალაქო სარჩელისა და ეს შემთხვევებია: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეორე

⁷⁴ იხ: DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, პრეამბულის 57-ე პუნქტი. დამატებით: . თანდილაშვილი ხ., სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, www. dgstz.de. 2016 წელი;

⁷⁵ იხ: Recommendation Rec(2000)19 of the Committee of Ministers to member states on the role of public prosecution in the criminal justice system, COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, პარ. 34.

⁷⁶ იხ: Assenov and Others v. Bulgaria 90/1997/874/1086, 28 October 1998, პარ. 108-112

მუხლით აღიარებული, სიცოცხლის უფლება, მესამე მუხლით აღიარებული წამების აკრძალვა და მე-13 მულით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება.⁷⁷ ქართულ კანონმდებლობასთან რომ გავავლოთ პარალელი და მოვიყვანოთ სსკ-ის 115-ე მუხლი თვითმკვლელობამდე მიყვანა, ეს არის კვალიფიკაცია, რითაც იწყება ხოლმე გამოძიება, როცა სახეზე არ გვაქვს მკვლელობის ნიშნები, მაგრამ გარდაცვლილი პირის, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს არ შეუძლია გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. შესაბამისად წინააღმდეგობაში მოდის ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან. კონვენციის მე-13 მუხლთან დაკავშირებით, ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა: ეს არ მოიცავს მხოლოდ კომპენსაციის მიღების უფლებას, მასში აგრეთვე მოიაზრება უფლება ეფექტურ გამოძიებაზე, რომელიც ასევე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებისა და დასჯის წინაპირობაა⁷⁸. ასევე დაზარალებულის უფლებაზე სასამართლოს მიმართოს პროკურორის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე გასათვალისწინებელია შიდა კანონმდებლობა თუ რა უფლებები ენიჭება ბრალდებულს და რა დაზარალებულს, რადგან შესაძლებელია სახეზე იყოს დაზარალებულის უფლებების დაცვისთვის არაეფექტური კანონმდებლობა⁷⁹. ჩვენი კანონმდებლობით პრაქტიკულად არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია დაზარალებულს გამოძიებაზე ან სისხლისსამართლებრივ დევნაზე თუ არ გვაქვს კონკრეტული შემთხვევა, როცა პროკურორის შესაბამის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია, ან არ არსებობს პროკურორის კეთილი ნება. ისეთი დანაშაულების რიცხვი კი საკმაოდ დიდია, რომელზეც პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ აქვს დაზარალებულს.

შეჯამებისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, სულ მინიმუმ ისეთ საქმეებზე, სადაც საქმე გვაქვს სიცოცხლის ან ფიზიკურ, ან ფსიქოლოგიურ ხელყოფასთან საქმე, დაზარალებულს უნდა ქონდეს გასაჩივრების უფლება პროკურორის

⁷⁷ობ: Doorson v. The Netherlands, [ECtHR] no. 20524/92, 26 March, 1996, პარ. 70

⁷⁸ობ: Kaya v. Turkey, [ECtHR] no. 158/1996/777/978, 19 February, 1998, პარ. 107

⁷⁹ობ: A. v. the United Kingdom, [ECtHR] No. 100/1997/884/1096, 23 September, 1998, პარ. 24

გადაწყვეტილების. მხოლოდ ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო შესაძლებლობა ვერ დააბალანსებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვას⁸⁰.

შევაფასოთ სხვადასხვა ქვეყნების მიდგომა სკვლევ თემას დაკავშირებით, მაგალითად საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს პროკურორის გადაწყვეტილების, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, გასაჩივრების ორ ფორმას: გამოძიების მოსამართლესთან გასაჩივრება და სასამართლოში ბრალდებულის გამოძახება.⁸¹ პირველი გულისხმობს გამოძიების მოსამართლესთან გასაჩივრებას, რომელიც სარჩელის საფუძვლიანობის შემთხვევაში საქმეს გადასცემს პროკურორს, რომელიც ვალდებულია დაიწყოს გამოძიება თუ არ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული გარემოება მაგ. ხანდაზმულობის ვადა. მეორე კი გულისხმობს დაზარალებულის მხარედ გამოსვლას.⁸²

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვითაც აქვს დაზარალებულს გასაჩივროს პროკურორის მიერ დისკრეციული გადაწყვეტილებით მიღებული უარი სისხლისსამართლებრივ დევნაზე სასამართლოში⁸³. გარდა ამისა გარკვეულ დანაშაულებზე მხარედ გამოსვლის უფლებაც ენიჭება დაზარალებულს.⁸⁴

4. რეკომენდაცია

როგორც ზემოთთქმულიდან გამოჩნდა ნათლია, რომ საჭიროა დაზარალებული უფლებების დაცვა დაუსაბუთებლად ან უკანონოდ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი დევნის

⁸⁰ იხ: Mckerr v. The united kingdom, [ECtHR] no. 28883/95, 4 May 2001, პარ. 121

⁸¹ იხ. გუცენკო, კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმინოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედაქტორი გოგშელიძე რ., თბილისი 2007, 420.

⁸² იხ: მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015, 128.

⁸³ იხ: German Code of Criminal Procedure ,მუხლი 171-172. <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html> [23.08.2020.]

⁸⁴ იქვე: მუხლი 395

აღუძვრელობისგან, რასაც ჩვენი კანონმდებლობა ყველა დაზარალებულის მიმართ არ ახორციელებს.

საჭიროა სასამართლოში გასაჩივრების ერთჯერად შესაძლებლობა, რადგან თუ დაუშვებთ ყველა ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობას, ეს გამოიწვევს საქმის დაუსრულებლობას და გაიწელება პროცესი, ასევე გაიზრდება საპროცესო ხარჯები.⁸⁵

ასევე გასათვალისწინებელია დანაშაულის ჩადენის ხერხი და დაზარალებულის ინტერესი, კერძოდ მატერილური ზიანის მქონე დანაშაულის მსხვერპლების ძირითადი ინტერესია ზარალის ანაზღაურება და არა პირის დასჯა⁸⁶, შესაბამისად შესამუშავებელია უფრო ეფექტური და მარტივი მექანიზმი დაზარალებულთვის ზარალის ანაზღაურების კუთხით, ვიდრე სამაქალაო სასამართლოში დავის შესაძლებლობის მიცემა.

როგორც ზემოთ იქნა განხილული დაზარალებულისთვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა გაუმართლებელია და მას უნდა ქონდეს ყველა შემთხვევაში პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. ამ დროს გასათვალისწინებელია განრიდების ღონისძიების ფაქტორი. სსსკ-ის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დაზარალებულთან გადის კონსულტაციას პროკურორი, ხოლო მეორე ნაწილით მას აქვს გასაჩივრების შესაძლებლობა გარკვეულ დანაშაულებზე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის შემდგომაც პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება განრიდების ღონისძიების გამოყენების თაობაზე, შესაბამისად გაფორმდა განრიდების ხელშეკრულება, განრიდების ღონისძიებები სრულწლოვნების შემთხვევაში არის : „ა)უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ

⁸⁵ იხ: OSCE ODIHR, ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014, 40.

⁸⁶ იხ: შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არსრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 111.

ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე; ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.⁸⁷ ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში განრიდების ღონისძიებებზე საუბარია სამკ-ში, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის წერილობით გაფრთხილებას⁸⁸. შეძლება, როგორც ერთი ღონისძიების გამოყენება ასევე რამდენიმესი ერთად.

გაფორმდა განრიდების ხელშეკრულება და დაზარალებულს სურს გასაჩივრება, მაგრამ ამ დროს უკვე შესრულებული აქვს განრიდების სუბიექტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მაგალითად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა. ამ დროს დაზარალებულის გასაჩივრების შესაძლებლობას შედეგი ვერ მოყვება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების განმარტებიდან გამომდინარე კერძოდ: „განრიდების პირობის შესრულებით უკვე განხორციელდა განრიდება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა უკვე მისი თანმდევი შედეგია და არა პროკურორის დისკრეცია. სხვა სამართლებრივ რეგულაციას სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს“.⁸⁹ მართალია ამ შემთხვევაში საუბარია პროკურორის მიერ შეტანილ საჩივარზე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულის საჩივარი დაკმაყოფილდება ბრალდებულის უფლებები ირღვევა, რადგან მან უკვე განახორციელა დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ თუ არ დაკმაყოფილდა შეიძლება დაირღვეს დაზარალებულის უფლება. ასე რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება პროკურორს არ მიეცეს განრიდების გამოყონების შესაძლებლობა დაზარალებულის მიერ გასაჩივრების უფლების სარგებლობის ვადის ამოწურვამდე. დღევანდელ შემთხვევაში დაზარალებულს აქვს 10 დღიანი ვადა პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების, ზემდგომ პროკურორთან,

⁸⁷ იხ. სსსკ-ის 168¹ მუხლის 1 ნაწილი

⁸⁸ იხ. სამკ-ის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁸⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება „№1გ/622-17 , 04 მაისი 2017 წელითბილისი.

პროკურორის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ⁹⁰, ხოლო პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში, რის შემდეგაც დაზარალებულს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გასაჩივრების უფლება აქვს სასამართლოში ისევ 10 დღის ვადაში, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 15 დღის ვადაში⁹¹. იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორს სურს განრიდების ღონისძიების გამოყენება ვადების ძალიან გაზრდის ასაცილებლად, უმჯობესია თუ კოდექსში შევა ცვლილება, რომლითაც დაზარალებულს მიეცემა შესაძლებლობა პროკურორთან გასაუბრების შემდეგ, რა დროსაც პროკურორი აცნობებს, რომ აპირებს დევნის შეწყვეტას 5 დღის ვადაში ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა და ასევე 5 დღის ვადაში სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სსსკ-ის 108-ე მუხლის ცვლილებაც, რომლის თანახმად თუ სასამართლო გააუქმებს დადგენილებას/განჩინებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს. ასევე იქცევა ზემდგომი პროკურორი თუ ქვემდგომის გადაწყვეტილებას გასაჩივრებს. აქ ლოგიკურია, რომ არამართო პროკურორი შეიცვალოს საქმეზე არამედ გამომძიებელიც, რადგან სსსკ-ის 37-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამომძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება. თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს, საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს“. ანუ გამოდის, რომ ის გამომძიებელიც იზიარებდა პროკურორის გადაწყვეტილებას.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმისთვის, რომ დაზარალებულმა ეფექტურად შეძლოს გასაჩივრების უფლების გამოყენება, ყველა გარემოებებისას, საჭიროა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, რასაც ითვალისწინებს კიდეც სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის, „თ“ ქვეპუნქტი, კერძოდ: „მიიღოს

⁹⁰ იხ: სსსკ-ის 95-ე მუხლი

⁹¹ იქვე: 168-ე მუხლის მეორე ნაწილი

ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს“. შესაბამისად როდესაც ხდება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა აღარ არსებობს გამოძიების ინტერესების წინააღმდეგობა ამიტომ დაზარალებულისთვის უზერუნეველყოფილი უნდა იყოს აღნიშნული უფლებით სარგებლობა.

დასკვნა

ნაშრომის შედეგები რომ შევაფასოთ, ქართული კანონმდებლობის ანალიზი დადგინდა, რომ პროკურორს აქვს დისკრეციის უფლების ძალიან ფართო გამოყენების შესაძლებლობა. რაც ერთის მხრივ არ იქნება პრობლემა თუ დაზარალებულს ექნება პროკურორის აესეთ გადაწყვეტილებაზე კონტროლის მექანიზმი სასამართლოს მეშვეობით.

სსსკ-ის 105-ე მუხლით განსაზღვრულია გამოძიების ან/და სისხლისსამართლის დევნის შეწყვეტის არ დაწყების საფუძვლები მაგრამ აღნიშნული ჩამონათვალი იუსტიციის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებითაც ვერ აქცევს პროკურორს ისეთ სამართლებრივ ჩარჩოში რომლითაც მოხდება დაზარალებულის უფლებების დაცვა, არსებობს საფრთხე რომ უკანონოდ, დაუსაბუთებლად, სუბიექტურად, დაზარალებულის ინტერესების გაუთვალისწინებლად (პროკურორის განზრახი ან გაუფრთილებლი ქმედებით) მოხდეს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. პროკურორზეა დამოკიდებული ქმედების კვალიფიკაცია და სისხლისსამართლებრივი საქმის შედეგი, შესაბამისად არსებობს დისკრეციის სუბიექტივიზმის საფრთხე. აქედან გამომდინარე სსსკ -მა დაზარალებულს უნდა მისცეს შესაძლებლობა დაიცვას თავი აღნიშნული საფრთხისგან.

საერთაშორისო მიდგომების განხილვიდან ნათელი გახდა რომ ევროპული ქვეყნების (მაგ. გერმანია, საფრანგეთი,) კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სულ უფრო მეტ უფლებას ანიჭებს დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში, რასაც სამწუხაროდ ჩვენი კანონმდებლობა ვერ უწყობს ფეხს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულიად დაუსაბუთებლად აძლევს ზოგ დაზარალებულს პროკურორის გადაწყვეტილების გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ან გამოძიების დაწყებაზე ურის შესახებ გასაჩივრების უფლებას და ზოგს არა, თუნდაც მაშინ როცა სახეზეა ერთი და იგივე ხარისხის ზიანი შესაბამისად ირღვევა კოსტიტუციით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება.

კონსტიტუციით აღიარებულია სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და მაშინ, როდესაც ყველა პირს აქვს შესაძლებლობა სასამართლოს მიმართოს მაგალითად ადმინისტრაციული ჯარიმის გასაჩივრებისთვის, მაგალითად ავტობუსით უბილეთოდ მგზავრობის დაჯარიმებისას, გაურკვეველია რატომ უნდა ეზღუდებოდეს დაზარალებულს უფლება დაიცვას საკუთარი ინტერესი, მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების და დამნაშავის კანონის შესაბამისად დასჯის მხრივ?! რატომ არის ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელითაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ დანაშაულებზე ვლინდება დაზარალებულების ინტერესების მიმართ გულგრილი და ინდიფერენტული დამოკიდებულება. რასაკვირველია ქვეყანაში კრიმინოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო იყოს გარკვეული დანაშაულებისთვის და გარკვეული კატეგორიის დაზარალებულების მიმართ გარკვეული დამატებითი პირობების არსებობა, მაგრამ ეს პირობები არუნდა იქმნებოდეს სხვების უფლების არამართლზომიერი შეზღუდვით. ნაშრომში გაანალიზდა და დადგინდა რომ დაუსაბუთებლად ეზღუდებათ გარკვეული კატეგორიის დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს კონსტიტუციით აღიარებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

მნიშვნელოვანია რომ შეიცვალოს სსსკ-ის 106 მუხლის პირველი პრიმა ნაწილით და 168-ემუხლის მეორე ნაწილის რედექცია და ყველა დანაშაულზე, მიუხედავად კატეგორიისა მიეცეს დაზარალებულს ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გამოძიების ან სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ან გამოძიების არ დაწყების შესახებ გასაჩივრების უფლება სასამართლოში, მას შემდეგ რაც დაზარალებული ისარგებლებს ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმით. აღნიშნულ ცვლილებებს ექნება პრევენციული გავლენა და მინიმუმადე დავა დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებების რიცხვი, ასევე გაიზრდება პროკურორის დასაბუთების ხარისხი მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღარ იქნება მაგალითად ისეთი გადაწყვეტილებები რომლებშიც ეწერება მხოლოდ „ვიზიარებ ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებას“.

ასევე მნიშვნელოვანია რომ მოხდეს სსსკ-ის 108-ე მუხლის რედაქცია იმ კუთხით, რომ თუ სასმართლო გააუქმებს დადგენილებას/განჩინებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მოხდეს არა მარტო საქმის პროკურორის არამედ გამომძიებლის შეცვლაც.

ასევე მნიშვნელოვანია რომ დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა განრიდების ღონისძიების გამოყენებამდე ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით, ამ კონკრეტულ შემთხვევის დროს მიზანშეწონილია საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით შემჭიდროვდეს დაზარალებულის გასაჩივრების უფლების გამოყენების ხანგრძლივობა 10-დან ხუთ დღემდე.

გამოყენებული ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს კანონისახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბერის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

German Code of Criminal Procedure, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html> [21.08.2020]

Recommendation Rec(2000)19 of the Committee of Ministers to member states on the role of public prosecution in the criminal justice system, COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS

DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება , №1გ/622-17, 04 მაისი 2017 წელი თბილისი.

თბილის საქალაქო სასამართლოს განჩინება, N 3/8106, 22 აპრილი, 2015.
Asenov and Others v. Bulgaria, [ECtHR] no. 90/1997/874/1086, 28 October 1998;
Doorson v. The Netherlands, [ECtHR] no. 20524/92, 26 March, 1996;
Kaya v. Turkey, [ECtHR] no. 158/1996/777/978, 19 February, 1998;
A. v. the United Kingdom, [ECtHR] No. 100/1997/884/1096 , 23 September, 1998;
Mckerr v. The united kingdom, [ECtHR] no. 28883/95, 4 May 2001,

სამეცნიერო ლიტერატურა

აბაშიძე, გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი 2012.
ალინკი, მ., ადამინის უფლებათა სადელმძღვანელო პროკურორებისთვის, თბილისი 2008, <<https://rm.coe.int/168008ebdd>> [20.08.20];
გუცენკო, კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმინოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედაქტორი გოგშელიძე რ., თბილის 2007;
განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ დაზარალებულის უფლებები <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>> [21.08.2020];
თოლორაია ლ. წიგნში, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა ბონა-კაუზა, თბილისი 2015;
თუმანიშვილი გ. დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, თბილისი, 2009;
ლომსაძე მ., გამოძიების საფუძვლები. ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N 3, 2017;
მეურმიშვილი ბ., სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015
მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014.

საქართველოს გენარალური პროკურატურის პასუხი No13/49062, 2020 წლის 12 აგვისტოს განცხადებაზე (რეგისტრაციის N01/13-64904);

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016;

სისხლის სამართლის პროცესი, რეზო გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2008;

საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა: ნაწილი III - სისხლის სამართლის საქმეები, 2019 წლის, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf> > [21.08.20];

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მაისი თვის სისხლის სამართლის სტატისტიკა, ცხრილი სამი, <<https://www.geostat.ge/media/32394/danarti-maisi-2020.pdf>> [21.08.2020];

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის ივნისის თვის სისხლის სამართლის სტატისტიკა, ცხრილი სამი, <<https://www.geostat.ge/media/32895/danarti-ivnisi-2020.pdf> > [21.08.2020];

ფაფიაშვილი ლ., წიგნში, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა ბონა-კაუზა, თბილისი 2015.

შალიკაშვილი მ. ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2011.

შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არსრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;

ჩხეიძე ი., დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, N 2 , 2013;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014;

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ეფექტური გამოძიების საკითხებზე, თბილისი, 2014;

ტრექელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009.

ხატიაშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი;

OSCE ODIHR, ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014;

Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J., Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West.

Kaufman I.R., Criminal Procedure in England and the United States: Comparisons in Initiating Prosecutions, Fordham Law Review, 1980, Volume 49, Issue 1, Article 8, <https://lawreview.law.ucdavis.edu/issues/43/2/articles/43-2_Fairfax.pdf> [20.08.2020]

ელექტრონული წყარო

<https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/02.pdf> [21.08.2020]

< <https://idfi.ge/public/upload/Blogs/CRRC%20Final.pdf> > [21.08.2020]

<<https://netgazeti.ge/news/388271/>> [14.08.2020.]

< <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16198>> [20.08.2020]